პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო
КОМУНИСТИ—ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ
ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 213 (13597)

კვირა, 18 სექტემბერი, 1966 წ.

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ორგანიზებულად შევხვდეთ სასწავლო წლის დაწყებას პარტიული განათლების ქსელში

1 ოქტომბერს რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის დაიწყება ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი — რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მზადება ახალი სასწავლო წლისათვის პარტიული განათლების ქსელში.

ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, რომ პოლიტიკური განათლების გარდაქმნამ, რაც ამ ბოლო ხანს განხორციელდა პარტიულ ორგანიზაციებში, ხელი შეუწყო კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური სწავლების უფრო მწყობრი სისტემის შექმნას. პარტიული სწავლება უფრო გამიზნული გახდა, ამაღლდა მისი იდეურ-თეორიული დონე.

განვლილ სასწავლო წელს მთავარი ყურადღება დაეთმო კომუნისტების მიერ მსოფლმხედველობითი დისციპლინების შესწავლას, რაც ეხმარება სკკპ თვითეულ წევრს გამოიმუშაოს კომუნისტური რწმენა, იდეური პრინციპულობა. ხორციელდება მონაცვლეობისა და თანმიმდევრობის პრინციპი პოლიტიკურ განათლებაში, რაც უზრუნველყოფს კომუნისტთა განუხრელ იდეურ ზრდას.

266 ათასი კაციდან, რომლებიც პარტიული სწავლების სისტემაში მეცადინეობენ, 84.300 კომუნისტმა და უპარტიო აქტივისტმა აიმაღლა ცოდნა დაწყებით პოლიტსკოლებში, 4.400 კაცმა — მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში. 117.300 ჩაბმული იყო უმაღლესი სკოლის სხვადასხვა ფორმის სწავლებაში.

გაუმჯობესდა ხელმძღვანელი კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლება. სერიოზულ თეორიულ მომზადებას იღებს ბევრი მუშაკი, რომლებიც მეცადინეობენ საპრობლემო და მეთოდოლოგიურ სემინარებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივის სკოლებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში.

განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში სკკპ XXIII ყრილობის მასალების შესწავლამ. ყველა ფორმის პარტიულ სწავლებაში მსმენელები იჩენდნენ დიდ აქტივობას მეცადინეობაზე, მჭიდროდ უკავშირებდნენ შესწავლილ მასალას თავიანთი საწარმოს პრაქტიკულ ამოცანებს. ბევრ პარტორგანიზაციაში მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე მიმდინარეობდა ყრილობის მასალებისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენციები.

კომუნისტთა პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციაში პარტიულ კომიტეტებს არსებით დახმარებას უწევდნენ პოლიტიკური განათლების სახლები და კაბინეტები, ჟურნალ-გაზეთები, რადიომაუწყებლობა და ტელევიზია. წარმატებით მოეწყო პროპაგანდისტთა პირველი რესპუბლიკური შეკრება, რომელმაც დასახა პარტიული განათლების ქსელის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების გზები, ანალიზი გაუკეთა განვლილი სასწავლო წლის ნაკლოვანებებს.

რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები და პირველადი პარტიული ორგანიზაციები ფართოდ ეწეოდნენ აგრეთვე მასობრივ-პოლიტიკურ პროპაგანდას მოსახლეობაში. განვლილ სასწავლო წელს რესპუბლიკაში მუშაობდა კულტურის, ტექნიკური პროგრესის, ეკონომიური ცოდნისა და სხვა დარგების 191 სახალხო უნივერსიტეტი. ათასობით მშრომელი ისმენდა ლექციებს თეორიულ, პოლიტიკურ, ბუნებისმეტყველების თემებზე მრავალრიცხოვან პოპულარულ ლექტორიუმებში, რომლებიც რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებმა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შექმნეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ განვლილი სასწავლო წლის შედეგები მოწმობს ზოგიერთ ნაკლს პარტიული სწავლების სისტემის მუშაობაში. ამ ნაკლოვანებათა შორის მთავარია მეცადინეობის დაბალი დონე, რაც არ შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი უყენებს კომუნისტთა პოლიტიკურ განათლებას. ზოგიერთ პოლიტსკოლაში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლაში, სემინარებზე შემჩნეული იყო გამარტივებული მიდგომა მნიშვნელოვანი თეორიული საკითხების შესწავლისადმი. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა პირველ წყაროებზე დამოუკიდებელ მუშაობას, მსმენელთა ნაწილი სუსტად ემზადებოდა მეცადინეობისათვის.

ცალკეული ნაკლოვანებანი იყო ზოგიერთი დაწყებითი პოლიტსკოლისა და მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლის შექმნის დროს. ზოგჯერ სასწავლო ჯგუფებში ირიცხებოდნენ ცოდნისა და მომზადების სხვადასხვა დონის მქონე კომუნისტები. ეს აძნელებდა პროპაგანდისტთა მუშაობას, მსმენელთა ერთ ნაწილს უკარგავდა სწავლის ინტერესს. ყველა პარტიული კომიტეტი და პირველადი ორგანიზაცია ღრმად როდი სწვდებოდა პოლიტიკური სწავლების შინაარსსა და ეფექტიანობას, როდი ეხმარებოდა პროპაგანდისტებს თეორიული ცოდნისა და მეთოდური ოსტატობის ამაღლებაში, არ იჩენდა ჯეროვან მომთხოვნელობას კომუნისტებისადმი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებსა და პირველად ორგანიზაციებს ღრმა ანალიზი გაუკეთონ განვლილი სასწავლო წლის შედეგებს, შეძენილ გამოცდილებას, გაითვალისწინონ დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, დასახონ პოლიტიკური სწავლების იდეური დონის ამაღლებისა და ქმედითობის შემდგომი გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი. პარტიულმა ორგანიზაციებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ პარტიული სწავლების დიდი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ ყველა კომუნისტი კარგად დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და მჭიდროდ დაუკავშიროს იგი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებსა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას. პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმისა და ცალკეული აქტუალური პრობლემების შესწავლა შეხამებული უნდა იყოს სკკპ XXIII ყრილობაზე წამოყენებული თეორიული და პრაქტიკული საკითხების ღრმა გააზრებასთან.

ახალი სკოლებისა და სემინარების შექმნის დროს ყოველმხრივ უნდა გავითვალისწინოთ კომუნისტთა მოთხოვნილებანი და სურვილები, მათი განათლების დონე. დავეხმაროთ კომუნისტებსა და პარტიულ აქტივისტებს პოლიტიკური განათლების პერსპექტივის დასახვაში, პარტიული სწავლების შესაბამისი ფორმის არჩევაში. ყოველნაირად წავახალისოთ უფრო მომზადებული ამხანაგების გაერთიანება სემინარებში, რათა ღრმად შეისწავლონ პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის საკითხები. კვლავაც უნდა ვიზრუნოთ ხელმძღვანელი სამეურნეო კადრების ეკონომიური სწავლების დონის ამაღლებისათვის; უზრუნველვყოთ თვითეული სკოლა და სემინარი მაღალი კვალიფიკაციის პროპაგანდისტებით.

პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ უფრო მეტად იზრუნონ კომკავშირელთა პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციისა და შინაარსისათვის, წაახალისონ კომკავშირელთა სურვილი ჩაებან სხვადასხვა ფორმის პარტიულ სწავლებაში, კიდევ უფრო გააუმჯობესონ მასობრივ-პოლიტიკური პროპაგანდის ორგანიზაცია და შინაარსი რესპუბლიკის მშრომელებში ისევე როგორც წინათ. საჭიროა შევინარჩუნოთ და განვავითაროთ კომუნისტური შრომისა და კომუნისტური აღზრდის სკოლები, კულტურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცოდნის, ტექნიკური პროგრესის სახალხო უნივერსიტეტები, აგრეთვე მასობრივი პროპაგანდის ისეთი ფორმები, როგორიც არის კითხვა-პასუხის საღამოები, თემატური საღამოები.

შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებას, ცოდნის იდეურ-თეორიული დონის შემდგომ ამაღლებას პარტიული განათლების ყველა რგოლში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლს ევალება მეტი დახმარება გაუწიოს პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს ცალკეულ თემებზე მეცადინეობის მოწყობის მეთოდიკის კონკრეტული საკითხების დამუშავებაში, პროპაგანდისტული მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს სისტემატურად გამოაქვეყნონ პრესაში და გადასცენ რადიოთი და ტელევიზიით სტატიები, კონსულტაციები და მასალები პარტიული განათლების სისტემის პროპაგანდისტთა და მსმენელთა დასახმარებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება ეძლევა დროზე გამოსცეს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები პარტიული განათლების სისტემისათვის. (საქინფორმი).

18 სექტემბერი ტყის მუშაკის დღეა!



სურათზე: დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა ახმეტის ტყე-მრეწვმეურნეობაში.

ფოტო ვლ. ზარიძისა.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ნაყოფიერი და ხანგრძლივი მუშაობისათვის სატყეო მეურნეობასა და ხისდამამუშავებელ მრეწველობაში მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა

1. **აბულაძეს** ვიქტორ იუსტინეს-ძეს — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მერქნის დაცვის მთავარ სპეციალისტს.
2. **ბერიძეს** შოთა კონსტანტინეს-ძეს — სამტრედიის ხისდამამუშავებელი კომბინატის მთავარ ინჟინერს.
3. **გელაშვილს** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს, — მცხეთის ხისდამამუშავებელი კომბინატის დირექტორს.
4. **დლევიძეს** ალექსანდრე სიკოზის-ძეს — ბათუმის ხისდამამუშავებელი კომბინატის მთავარ ტექნოლოგს.
5. **კიკნაძეს** სერგი ვასილის-ძეს — ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის დირექტორს.
6. **კუხალეიშვილს** ინდიკო ამბროსის-ძეს — ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის მთავარ ინჟინერს.
7. **მარღანიას** ვალერიან ალექსის-ძეს — საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილეს.
8. **მჭედლიშვილს** ალექსანდრე თეიმურაზის-ძეს — ხე-ტყის დამამზადებელ, ხე-ტყის დამცურებელ, ხისდამამუშავებელ საწარმოთა და ხე-ტყის ტრანსპორტის გზათა სახელმწიფო-საპროექტო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პროექტის მთავარ ინჟინერს.
9. **კორკიას** ალექსანდრა ალექსანდრის ასულს — თბილისის ფანერის ქარხნის ოსტატს.
10. **ლვალაძეს** პროკოფი გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსს.
11. **ჩიქოვანს** დავით ნესტორის-ძეს — თბილისის საექსპერიმენტო ავეჯის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს.
12. **ცალკინს** ისააკ საველის-ძეს — საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროს მთავარ ინჟინერს.
13. **ხვედელიანს** გერონტი არეფის-ძეს — თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევისა

1. **ბასილაშვილს** იოსებ ალექსის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის ინჟინერს.
2. **გურგენიძეს** ვალერიან პავლეს-ძეს — გურჯაანის სატყეო მეურნეობის გურჯაანის სატყეოს უფროსს.
3. **გუტიძეს** სერგი გრიგოლის-ძეს — ხობის სახელმწიფო ტყის სანერგის დირექტორს.
4. **ეძგვერაძეს** დომენტი გიორგის-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს ხე-ტყის მრეწველობის პროდუქციის მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს უფროსის მოადგილეს.
5. **ზარქუას** გერონტი პორფილეს-ძეს — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მექანიზაციისა და კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსს.
6. **თარგამაძეს** დავით ვარლამის-ძეს — ხე-ტყის მრეწველობის საწარმოთა საპროექტო ინსტიტუტის პარტიის უფროსს.
7. **თვალავაძეს** გრიგოლ თომას-ძეს — კასპის სატყეო მეურნეობის მთავარ მეტყევეს.
8. **კენჭაძეს** დავით გრიგოლის-ძეს — ონის სატყეო მეურნეობის დირექტორს.
9. **ოძელაშვილს** ნინო გიორგის ასულს — სამგორის სატყეო მეურნეობის ინჟინერს.
10. **სუხიაშვილს** ივანე ივანეს-ძეს — დუშეთის სატყეო მეურნეობის დირექტორს.
11. **ქარელიშვილს** ალექსანდრე კონსტანტინეს-ძეს — თბილისის სატყეო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს.
12. **შარვაძეს** დავით არჩილის-ძეს — ხე-ტყის დამამზადებელ, ხე-ტყის დამცურებელ, ხისდამამუშავებელ საწარმოთა და ხე-ტყის ტრანსპორტის გზათა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ხე-ტყის ნედლეულის ბაზების სექტორის უფროსს.
13. **ჰარხალაშვილს** ესტატე ვასილის-ძეს — პენსიონერს.
14. **ხიმშიაშვილს** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ ბუნების დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
თბილისი, 1966 წლის 17 სექტემბერი.

ჯილდო — ღირსეულთ

ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა მრეწველობის ამ დარგების მუშაკთა ჯგუფს.

მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით. (საკდესი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი და ხანგრძლივი მუშაობისათვის სატყეო მეურნეობასა და ხისდამამუშავებელ მრეწველობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

1. **აბაშიძე** იორდან ლუარსაბის-ძე — ახმეტის სატყეო მეურნეობის დირექტორი.
2. **ასიტაშვილი** შოთა გიორგის-ძე — სამგორის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე.
3. **აფაქიძე** ნიკოლოზ ლევანის-ძე — ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორის დირექტორი.
4. **ახვლედიანი** რევაზ ვარლამის-ძე — ხე-ტყის დამამზადებელ, ხე-ტყის დამცურებელ, ხისდამამუშავებელ საწარმოთა და ხე-ტყის ტრანსპორტის გზათა სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მთავარი კონსულტანტი.
5. **ბაღათურია** პარმენ ილარიონის-ძე — ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ბრიგადირი.
6. **ბერძენაძე** აკაკი მიხეილის-ძე — ბზიფის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის ტყის მჩეხავი.
7. **ბიჭიკაშვილი** ალექსი იოსების-ძე — ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის მეჩარხე.
8. **ბურჯანაძე** ვლადიმერ ლუკას-ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ნადირობისმცოდნე.
9. **გულისაშვილი** ბიძინა გაბრიელის-ძე — თბილისის ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.
10. **დათეშიძე** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — ამიერკავკასიის ტყის მოწყობის საწარმოს ხე-ტყის მრეწველობის საწარმოთა საპროექტო ინსტიტუტის განყოფილების უფროსი.
11. **თუთბერიძე** ევა ივანეს ასული — წყალტუბოს სატყეო მეურნეობის მუშა.
12. **კახაძე** ისა ისკანდერის-ძე — ხულოს სატყეო მეურნეობის ტყის მცველი.
13. **კიკნაძე** ანზორ სევასტის-ძე — მარელისის ავეჯის ფაბრიკის მუშა.
14. **მინდაძე** დავით მიხეილის-ძე — პენსიონერი.
15. **სალუქვაძე** ვახტ[illegible] ბარნაბის-ძე — მახარაძის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე.
16. **ღამბარაშვილი** ნესტორ გრიგოლის-ძე — პენსიონერი.
17. **შაოშვილი** მიხეილ იასონის-ძე — გურჯაანის სატყეო მეურნეობის მთავარი მეტყევე.
18. **შელია** იანურ დიმიტრის-ძე — ინგურის ხე-ტყის დაცურების კანტორის მძღოლი.
19. **ჩირგაძე** ტატიანა ანტონის ასული — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ინჟინერი.
20. **ჩოკულაშვილი** შალვა ალექსის-ძე — ახმეტის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის მძღოლი.
21. **ცაავა** ეულოგია აქსენტის ასული — ოჩამჩირის სატყეო მეურნეობის მუშა.
22. **ცხოვრებაშვილი** უშანგი ლუკას-ძე — თბილისის ავეჯის საწარმოთა გაერთიანება „განთიადის“ ამწყობი.
23. **ცხოვრებოვი** მურად პავლეს-ძე — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სატყეო მეურნეობის სამმართველოს უფროსი.
24. **ყიფიანი** ზაირა ბიძინას ასული — თბილისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის მეჩარხე.
25. **ხაგუში** ხინტრუკ ალიხანის-ძე — გაგრის სატყეო მეურნეობის ტყისმცველი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე
თბილისი, 1966 წლის 17 სექტემბერი.

ტყის მუშაკთა დღესასწაული
საზეიმო კრება თბილისში

18 სექტემბერს საქართველოს სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის მშრომელთა მრავალათასიანი არმია პირველად აღნიშნავს „ტყის მუშაკის დღეს“. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ეს დღე საზეიმოდ აღინიშნება სექტემბრის ყოველ მესამე კვირა დღეს.

ბრძანებულება „ტყის მუშაკის დღის“ დაწესების შესახებ კიდევ ერთხელ მოწმობს იმ დიდ ყურადღებასა და ზრუნვას, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ ჩვენი ქვეყნის სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის მუშაკებისადმი.

17 სექტემბერს თბილისის რკინიგზელის სახლში გაიმართა „ტყის მუშაკის დღისადმი“ მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები: რ. ი. ფრუიძე, შ. ი. ქანუყვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ი. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გ. გომელაური, რესპუბლიკის სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის მუშაკები, პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შესავალი სიტყვით კრება გახსნა საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრმა ვ. ვარაზაშვილმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ჩოდრიშვილმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

ბრძანება
სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა
№ 211

1966 წლის 18 სექტემბერი, ქ. მოსკოვი.

ამხანაგო სახელოვანი გვარდიული ნაწილების, ხომალდებისა და შენაერთების ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო, ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

საბჭოთა გვარდიის თადარიგის და გადამდგარო ვეტერანებო!

საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

25 წლის წინათ, 1941 წლის 18 სექტემბერს საბჭოთა არმიის ოთხ მსროლელ დივიზიას გვარდიული დივიზიები დაერქვა. ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის ბრძოლებში ფაშისტური გერმანიის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც მოსკოვისკენ მოიწევდნენ, ამ დივიზიებმა გვიჩვენეს მამაცობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის ნიმუში, ბრძოლის ძნელ პირობებში ისინი მრავალგზის ამარცხებდნენ გერმანელ-ფაშისტთა ჯარებს, უკან ახევინებდნენ მათ.

მტრის წინააღმდეგ შემდგომ ბრძოლებში გვარდიული შენაერთების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა. გვარდიული შენაერთების საპატიო წოდება ენიჭებოდა საბჭოთა არმიის საუკეთესო ნაწილებსა და შენაერთებს და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებს. დიდი სამამულო ომის დასასრულისათვის გვარდიელები იყვნენ ყველა გვარეობის შეიარაღებულ ძალებში და ჯარების ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა საბჭოთა გვარდიამ მემკვიდრეობით მიიღო ჩვენი ხალხისაგან საუკეთესო ნიშნები: თავდადებული ერთგულება კომუნიზმის იდეებისადმი, სამშობლოს სიყვარული, რიგების შეკავშირება, ურღვევი ამხანაგური შედუღაბება, რკინისებური მხედრული დისციპლინა, მასობრივი გმირობა. ომის დროს გვარდიულმა ნაწილებმა და ხომალდებმა გვიჩვენეს უდრეკი სიმტკიცე თავდაცვის დროს, სისწრაფე და შეუპოვრობა შეტევის დროს. გვარდიული ნაწილები და ხომალდები მოწინავე გამოცდილებისა და მხედრული ოსტატობის სამჭედლო გახდა.

ყოველი საბჭოთა მეომრისათვის გვარდიელთა სახელოვანი გმირობა სამშობლოს თავდადებული სამსახურის, მხედრული მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების მკაფიო მაგალითია.

ომისშემდგომ პერიოდში გვარდიული ნაწილები და ხომალდები სწავლასა და დისციპლინაში მაღალი მაჩვენებლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან ისევე როგორც მთელი საბჭოთა შეიარაღებული ძალები. ისინი ყოველთვის მზად არიან გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ აგრესორს.

მეომარო-გვარდიელებო, იყავით ღირსნი ამ საპატიო წოდებისა!

არმიისა და ფლოტის მეომრებო! წმინდად დაიცავით და ამრავლეთ საბჭოთა გვარდიის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციები! ახალი წარმატებები მოიპოვეთ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში!

საბჭოთა გვარდიის 25 წლისთავის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 18 სექტემბერს, 21 საათზე ადგილობრივი დროით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, აგრეთვე ელნიაში — ქალაქში, სადაც გაჩაღებით იბრძოდნენ პირველი გვარდიული ნაწილები, მიეცემულ იქნეს სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

დიდება საბჭოთა გვარდიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი,
საბჭოთა კავშირის მარშალი
რ. მალინოვსკი.

ღირსეული შეხვედრა დიად თარიღებს

ჭიათურელთა საპასუხოდ

ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა (დირექტორი ა. მელიძე) ყოველწლიურად ზრდის აგურის გამოშვებას. თუ შარშან მშენებლებმა 30 მილიონი აგური მიიღეს, წელს მიიღებენ 58 მილიონ ცალს. რვა თვეში უკვე გამოშვებულია 35 მილიონი ცალი. ქარხნის სრული საპროექტო სიმძლავრის ათვისების შემდეგ კი მშენებლები მიიღებენ 65 მილიონ სილიკატურ აგურს.

შრომატევადი სამუშაოების სრული მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მიზნით ქარხანაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება. ახალი ხუთწლედის პირველ წელს აქ უნდა აითვისონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ აგურის ამკრეფი-ოთხი ავტომატი. თვითეული მათგანი გაათავისუფლებს 6 კაცს, გაზრდის პროდუქციის მოცულობას და საგრძნობლად გააუმჯობესებს ხარისხს. ეს აგურის ამკრეფი „სმ-1030“ მარკის ავტომატები დააპროექტა ლენინგრადის მშენებლობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. ქარხანაში უკვე დამონტაჟდა ორი ასეთი ავტომატი.

აგურის ნარჩენები წინა წელს გამოუყენებელი რჩებოდა და ყრიდნენ. წელს ამ ნარჩენებიდან დაიწყო სამშენებლო ბლოკების გამოშვება. მშენებლებმა უკვე მიიღეს 35 ათასი ასეთი ბლოკი.

ახლა, როცა მთელ ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, ქარხნის კოლექტივი გამოეხმაურა ჭიათურელთა მოწოდებას და გაზრდილი ვალდებულება იკისრა:

საერთო პროდუქციის გამოშვების 1966 წლის საწარმოო დავალება გაანაღდოს ვადაზე ადრე — 25 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვას 25 ათასი მანეთის პროდუქცია. მომავალი წლის 10 თვის გეგმა შეასრულოს 20 ოქტომბრისათვის, ხოლო წლიური დავალება 20 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მშენებლებს გაუგზავნოს 50 ათასი მანეთის პროდუქცია. 1967 წელს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით შეამციროს 1 პროცენტით. ორივე წელს შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 10 პროცენტით. წელს საექსპლოატაციოდ გადასცეს აგურის ამკრეფი ოთხი ავტომატი. 1967 წლისათვის მთლიანად აითვისოს საპროექტო სიმძლავრე და ამავე წელს გეგმით გათვალისწინებული 61 მილიონის ნაცვლად გამოუშვას 65 მილიონი ცალი აგური. 1969 წლისათვის აგურის წარმოების მოცულობა აიყვანოს 100 მილიონ ცალამდე.

ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი უკვე შეუდგა ბრძოლას ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI სესიაზე ამხ. ა. ა. გრომიკოს მეთაურობით.

უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკების მთავრობებმა დანიშნეს აგრეთვე დელეგაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI სესიაზე. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ამხ. ნიკოლოზ ანწონის-ძე ზხელოკოვი დაინიშნოს სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრად. (საკდესი).

საერთაშორისო ცხოვრება

საბჭოთა კავშირის დახმარება მონღოლეთს

ულან-ბატორი, 16 სექტემბერი. (საქდესი). მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა გუშინ მიიღო სსრ კავშირის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ლ. ნ. სოლოვიოვი. საბჭოთა ელჩმა ი. ცედენბალს აცნობა სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილება დაეხმაროს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას მონღოლეთის დედაქალაქში ამას წინათ მომხდარი წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციაში.

საბჭოთა ორგანიზაციები ულან-ბატორის რაიონში აგებენ რკინიგზისა და ავტოსაგზაო ხიდებს, აგრეთვე მიწის დამბებს. საბჭოთა სპეციალისტები მონღოლეთის ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავებენ წყალდიდობისაგან ულან-ბატორის დაცვის ნაგებობათა მშენებლობის პროექტებს. ი. ცედენბალმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას დახმარებისათვის სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში.

◆

დემოკრატია გაიმარჯვებს

ბუდაპეშტი, 17 სექტემბერი. (საქდესი). ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ დოლორეს იბარურიმ გამოთქვა რწმენა, რომ ესპანელი ხალხი დაამხობს ფრანკისტულ დიქტატურას.

როგორც უნგრეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, დ. იბარურიმ გუშინ საღამოს სიტყვა წარმოთქვა ჩეპელის მეტალურგიული კომბინატის მშრომელთა მასობრივ მიტინგზე უნგრეთის დედაქალაქში, სადაც იგი ჩამოჰყვა ესპანეთის კომპარტიის დელეგაციას. ილაპარაკა რა ესპანეთის დემოკრატიული ძალების ბრძოლაზე, მან, კერძოდ, განაცხადა:

ბოლო დროს ჩვენი ხალხის ისტორიაში დიდი შემობრუნება მოხდა. ბრძოლა ფრანკისტული დიქტატურის წინააღმდეგ გავრცელდა ესპანეთის დიდ ნაწილზე, მოიცავს საზოგადოების სულ უფრო ფართო ფენებს. უდიდესი ძალით გაისმის თავისუფლებისა და დემოკრატიის მოთხოვნა ქარხნებში, ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში, ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში, და სამართლიანი საქმის გამარჯვების იმედი აერთიანებს კომუნისტებსა და კათოლიკებს, სოციალისტებსა და ნაციონალისტებს, სტუდენტებსა და მასწავლებლებს, მღვდლებსა და ათეისტებს. დიქტატურას უკვე ძალა აღარ შესწევს ჩაახშოს ეს შეკავშირება, წინააღუდგეს მასების ბრძოლის გაჩაღებას.

◆

კუვ-დე მიურვილის განცხადება

პარიზი, 17 სექტემბერი. (საქდესი). საგარეო საქმეთა ეროვნული კრების კომისიამ გუშინ მოისმინა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კუვ დე მიურვილის გამოსვლა. მინისტრი შეეხო, კერძოდ, საფრანგეთის პოზიციას სოციალისტური ქვეყნების მიმართ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან საფრანგეთის ორმხრივმა კონტაქტებმა, აღნიშნა მან, უნდა მოგვიტანოს, ზოგიერთი სიძნელის მიუხედავად, ურთიერთგაცვლის არსებითი გადიდება ეკონომიკისა და კულტურის დარგებში.

კუვ დე მიურვილი შეეხო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილ მდგომარეობას და განაცხადა, რომ საფრანგეთს ამ საკითხში კვლავ უცვლელი პოზიცია აქვს, კერძოდ, მოითხოვს, ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა პატივისცემას.

საქართველოს სტუმარი

მეოთხე დღეა საქართველოში სტუმრად არის კანადის ჟურნალ „კანტრი გაიდის" მთავარი რედაქტორი დონ ბერონი, რომელიც საბჭოთა კავშირში მოგზაურობს გაზეთ „სელსკაია ჟიზნის" მთავარი რედაქტორის პ. ალექსეევის თანხლებით. 16 სექტემბერს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ჩაისსაწონი ფაბრიკა, შამპანური ღვინოების ქარხანა, გაეცნენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციას.

ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი, რომელსაც ამ დღეს ეწვია მისტერ დონ ბერონი, იყო საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. ინსტიტუტის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა პროფესორმა ნ. ხომიზურაშვილმა ილაპარაკა იმ მუშაობის შესახებ, რომელსაც ეს სამეცნიერო დაწესებულება ეწევა, აჩვენა სტუმრებს ინსტიტუტის საცდელი ნაკვეთები.

სტუმრები იყვნენ აგრეთვე მცხეთაში.

მისტერ ბერონი და პ. ალექსეევი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარესთან დ. მჭედლიშვილთან ერთად გუშინ სოხუმში ეცნობოდნენ სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებათა მუშაობას. ისინი გაეცნობიან აფხაზეთის სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობას. (საქდესი).

ვაშინგტონის სურვილია სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში საომარი მოქმედების მთელი სიმძიმე თავის მოკავშირეებსა და მათს არმიებს დააკისროს, „სანამ შეერთებული შტატების ქალაქებს ატომური დარტყმის საფრთხე შეექმნებოდეს". ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ, რომ დარტყმა ჯერ მათმა მოკავშირეებმა განიცადონ, შემდეგ კი გადაწყვიტონ, თვითონ ჩაებან დიდ ომში თუ არა.

(გაზეთებიდან).



უიმედო საფარი.

ნახ. ი. კოკიაშვილისა.

ბულგარეთ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის მიტინგი

ტ. ჟივკოვისა და ა. ნოვოტნის გამოსვლები

◆

სოფია, 16 სექტემბერი. (საქდესი). ხელმძღვანელობენ რა თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმით, ბულგარეთის კომუნისტური პარტია, ბულგარეთის მთავრობა და მთელი ბულგარელი ხალხი კატეგორიულად გმობენ ამერიკის ბარბაროსულ აგრესიას ვიეტნამში, განაცხადა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტ. ჟივკოვმა საერთო საქალაქო მიტინგზე, რომელიც გუშინ გაიმართა სოფიაში. მიტინგი მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტს ბულგარეთში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ნოვოტნის მეთაურობით.

ტ. ჟივკოვმა შემდეგ აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიასა და ბულგარეთში დიდად არიან შეშფოთებული ჩინეთის ხელმძღვანელთა ანტიმარქსისტული კურსისა და გამთიშველი მოქმედების გამო იმ მომენტში, როცა განსაკუთრებით საჭიროა მთელი პროგრესული და რევოლუციური ძალების ერთობა და შეკავშირება მებრძოლი ვიეტნამისათვის დახმარების გაწევის მიზნით. ჩინეთის ხელმძღვანელთა ეს მოქმედება, განაცხადა ტ. ჟივკოვმა, გმირი ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი ბრძოლისათვის ღალატს ნიშნავს. ჩვენ სინანულით აღვნიშნავთ, რომ ჩინელმა ხელმძღვანელებმა არათუ გადაუხვიეს მარქსიზმ-ლენინიზმსა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, არამედ თავიანთი ცილისმწამებლური საქმიანობით მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირისა და ლენინის დიადი პარტიის წინააღმდეგ. სხვა სოციალისტური ქვეყნებისა და მოძმე პარტიების წინააღმდეგ, სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას.

ამერიკის მთავრობას, განაცხადა ა. ნოვოტნიმ, რომელიც შემდეგ გამოვიდა, უნდა შეეგნო, რომ დამთავრდა დრო, როცა თვითნებურად შეიძლებოდა სხვათა მისწრაფების დათრგუნვა, რომ ხალხები, ისევე როგორც ახლა, მომავალშიც თვითონ გადაჭრიან თავიანთი საზოგადოებრივი წყობილების საკითხს და თვითონ მოაწესრიგებენ თავიანთ საშინაო საქმეებს. ჩეხოსლოვაკია მხარს უჭერს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან მოთხოვნებს და მატერიალურად ეხმარება ვიეტნამელ ხალხს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენ, განაგრძო ნოვოტნიმ, მეტად სერიოზულად განვიხილავთ მდგომარეობას, რომელიც საერთაშორისო კომუნისტურ და მსოფლიო ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში შეიქმნა ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკის შედეგად. მათი მიზეზით ძირი ეთხრება სოციალისტურ სახელმწიფოთა მოქმედების ერთობას ვიეტნამის მიმართ ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

მწამს, თქვა დასასრულ ა. ნოვოტნიმ, რომ ჩვენი ვიზიტი ბულგარეთში ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, მათს თანამშრომლობას ორივე სახელმწიფოს, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ასაყვავებლად.

მზად ვიყოთ ყოველგვარი მოულოდნელობისათვის

პისეკი, 16 სექტემბერი. საქდესის კორესპონდენტი ტ. მარტინოვა გვატყობინებს:

დღეს აქ სამხედრო წვრთნის „ვლტავის" პრესცენტრში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ვაცლავ პრხლიკმა ილაპარაკა წვრთნის ძირითად მიზნებსა და მომზადებაზე. „ვლტავა", თქვა მან, იქნება ფართო და ორმხრივი წვრთნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის არმიათა ჯარები. წვრთნას უხელმძღვანელებს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი ბოგუმირ ლომსკი. წვრთნაში მონაწილეობას მიიღებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო თავის შტაბითურთ, წვრთნას დაესწრებიან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოთა სამხედრო დელეგაციები.

ვ. პრხლიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს არმიათა ერთობლივ წვრთნას სამხედრო საქმის განვითარების ახლანდელ ეტაპზე.

მან განაცხადა, რომ წვრთნის „ვლტავის" პოლიტიკური მიზანია არა მარტო უშუალო კონტაქტებისა და ურთიერთგაგების დამყარება მოძმე არმიათა მეომრებს შორის, არამედ აგრეთვე კონტაქტის დამყარება არმიებსა და ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობას შორის.

სანამ არ დაშლილა სამხედრო ბლოკები და ნატოს სახელმწიფოებს არ სურთ მშვიდობის განმტკიცება აღნიშნა ვ. პრხლიკმა, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები შეინარჩუნებენ დიდ სიფხიზლეს და ურყევად და გაბედულად განამტკიცებენ თავიანთ ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას.

წვრთნა „ვლტავა", ხაზი გაუსვა ვ. პრხლიკმა, იარაღის ჟღარუნი, რაღაც სამხედრო-პოლიტიკური დემონსტრაცია როდია. ეს წვრთნა ჩვენი ჯარების ტაქტიკური მომზადების დამამთავრებელი ეტაპია მიმდინარე სასწავლო წელს. იგი გააფართოებს ჩვენს ცოდნას, გაამდიდრებს ჩვენს გამოცდილებას და მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ჯარების მომზადებაზე შემდგომ პერიოდში.

15 სექტემბერს, 17 საათზე მოსკოვის დროით ამერიკის კოსმოსურმა ხომალდმა „ჯემინი-11"-მა დაამთავრა ფრენა და პარაშუტით დაეშვა წყალზე ატლანტის ოკეანეში. ამერიკელმა კოსმონავტებმა ჩარლზ კონრადმა და რიჩარდ გორდონმა ფრენის დროს შეასრულეს სამეცნიერო ექსპერიმენტების სერია.

როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. ხომალდ „ჯემინი-11"-ის მეთაური ჩარლზ კონრადი 36 წლისაა. ის ცოლიანია, ჰყავს ოთხი ვაჟიშვილი. ეს მისი მეორე გაფრენაა კოსმოსში. მეორე პილოტი რიჩარდ გორდონი პირველად იყო კოსმოსში. ისიც 36 წლისაა. ჰყავს ცოლი და ექვსი შვილი — ოთხი ვაჟი და 2 ქალი.

გმობენ პროვოკაციას

პეკინი, 17 სექტემბერი. (საქდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, 9 სექტემბერს დილით „f-105" ტიპის ორი ამერიკული ავიაგამანადგურებელი შეიჭრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში გუანსი-ჯუანსის ავტონომიურ რაიონში და ცეცხლი დაუშინა სოფლებსა და გლეხებს, რომლებიც ყანებში მუშაობდნენ. ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა დააზიანეს მოწინააღმდეგის ერთი ავიაგამანადგურებელი.

ჩინეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა გუშინ დაგმო ეს სამხედრო პროვოკაცია და ენერგიული პროტესტი განაცხადა.

მშვიდობა — ევროპას!

ვ. ულბრიხტის მოხსენება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ბერლინი, 17 სექტემბერი. (საქდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-13 პლენუმზე, რომელიც აქ მიმდინარეობს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა გააკეთა მოხსენება „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ევროპის უშიშროება და ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაცია".

მოვლენათა განვითარებამ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუქარესტის თათბირის შემდეგ განვლილ უკანასკნელ ორ თვეში მთლიანად და სავსებით დაადასტურა, რომ სწორია ამ თათბირის დასკვნები და გადაწყვეტილებანი, თქვა ვ. ულბრიხტმა.

ამ თათბირის შედეგები და მის მიერ მიღებული დოკუმენტები განიხილეს და მოიწონეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპეტენტურმა ორგანოებმა, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა თავიანთ უკანასკნელ თათბირზე გადაწყვიტეს გააძლიერონ ყოველმხრივი დახმარება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისადმი და ამავე დროს აღნიშნეს, რომ დანაშაულებრივი ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ მჭიდროდ უკავშირდება ევროპის მდგომარეობას, განაცხადა ვ. ულბრიხტმა. ბონ-ვაშინგტონის ღერძი აგრესორისა და თვის პოტენციური გამჩაღებლის გარიგებაა. ბონი ეხმარება ამერიკის შეერთებულ შტატებს ვიეტნამის ომის წარმოებაში და იმედი აქვს, რომ ამერიკა მხარს დაუჭერს რევანშისტული პოლიტიკის განხორციელებაში.

„საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისათვის, მშვიდობის საქმისათვის სავალალოა ის ფაქტი, რომ ამ სიტუაციაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკას მხარს უჭერს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, რომელიც გამთიშველ პოლიტიკას ახორციელებს, — თქვა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა. — ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ღვარძლიანი გამოხდომები საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, შეუთავსებელია რევოლუციური პარტიის პოლიტიკასთან". გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, განაცხადა მომხსენებელმა, მხარს უჭერს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან ბრძოლას, ცდილობს შესრულდეს ჟენევის შეთანხმებანი.

ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რომ „ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების დეკლარაცია", რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა თათბირმა მიიღო, ევროპის ყველა ხალხისა და ქვეყნისათვის მისაღები მშვიდობისა და უშიშროების პროგრამაა, და ხაზი გაუსვა, რომ მისი რეალიზაცია ევროპის მთელი მშვიდობის ძალების დაძაბულ მეცადინეობას მოითხოვს.

ჩვენ მიგვაჩნია, ხაზი გაუსვა დასასრულ მომხსენებელმა, რომ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები მოითხოვენ ევროპის ყველა სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალიზაციას, აგრეთვე ამ ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზაციას ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან.

ადამიანი და სტიქია

⊙ **ყარაჩი,** 17 სექტემბერი. (საქდესი). აღმოსავლეთ პაკისტანის დედაქალაქი დაკა სავსებით პარალიზებულია წყალდიდობის შედეგად, იუწყება დღეს გაზეთი „მორნინგ ნიუსი". განვლილ ორმოცდაორ საათში ქალაქში მოვიდა სამასი მილიმეტრი ნალექი, რაც რეკორდული ციფრია უკანასკნელ ოც წელიწადში. ერთი კაცი დაიღუპა, რამდენიმე ჰოსპიტალში მოათავსეს, ქალაქის ასი ათასამდე მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა. ქალაქში მოძრაობა შეწყვეტილია.

⊙ **ტოკიო,** 17 სექტემბერი, (საქდესი). **იაპონიის ქალაქ მაცუსიროში დღეს დიდი მეწყერი ჩამოწვა, რის შედეგად საფრთხეში აღმოჩნდა რამდენიმე ათეული საცხოვრებელი სახლი. 140 კაცი იძულებული გახდა დაეტოვებინა ეს ადგილი. ამ ქალაქში, რომლის მცხოვრებლებმაც შარშან 300 ათასზე მეტი მიწისძვრა ბიძგი გადაიტანეს, ბოლო დღეებში შეიმჩნევა ბუნების საინტერესო მოვლენები. კაიძინის მთის რაიონში მოულოდნელად გაჩნდა ცხელი წყლის წყაროები, ამასთან ჭაბურღილის დებიტი ყოველდღიურად იზრდება.**

⊙ **დელი,** 17 სექტემბერი. (საქდესი). ფანჯაბის შტატში (ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთი) ამას წინათ მომხდარი წყალდიდობის შედეგად დაზიანდა 5 ათასამდე გლეხთა საცხოვრებელი სახლი, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ოფიციალურ ბიულეტენში.

დიდად დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები. მარტო ამრიტსარის ოლქში წყალდიდობამ სერიოზულად დააზიანა მოსავალი 70 ათასზე მეტ ჰექტარ ფართობზე.

ჩომბეს ჩამოერთვა დეპუტატის მანდატი

ბრაზავილი, 16 სექტემბერი. (საქდესი). კინშასის კონგოს რესპუბლიკის ყოფილ პრემიერ-მინისტრს მოიზ ჩომბეს, რომელიც ამჟამად ბრიუსელში იმყოფება, ჩამოერთვა კონგოს პარლამენტის დეპუტატის მანდატი. ამას იუწყება კინშასის რადიო.

საზოგადოებრივი რისხვა წესრიგის დამრღვევთ

კანონის სახელით

პ. ბერძენიშვილი,
საქართველოს სს რესპუბლიკის
პროკურორი.

◆

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში დასახულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დამნაშავეობის სრული ლიკვიდაცია, მისი წარმომშობი მიზეზების მოსპობა.

მსოფლიოს ისტორიამ არ იცის არც ერთი საზოგადოება, არც ერთი სახელმწიფო წყობა, ასეთი ამოცანის დასმის ობიექტური პირობები რომ არსებობდეს. მხოლოდ სოციალისტურმა საზოგადოებამ, საბჭოთა სახელმწიფომ შექმნა საფუძველი და პირობები ამ ამოცანის რეალური განხორციელებისათვის.

ცხადია, დამნაშავეობის ლიკვიდაცია მეტად რთული პრობლემაა, აქ სერიოზულ წარმატებებს შესაძლებელია მივაღწიოთ არა პერიოდული კამპანიებით, არამედ ფართო სოციალურ-ეკონომიური, იდეურ-აღმზრდელობითი და სამართლებრივი ხასიათის კომპლექსურ ღონისძიებათა განუხრელად გატარებით. ასეთი ღონისძიებები ჩვენში სისტემატურად, თანმიმდევრობით ხორციელდება და ამიტომ დამნაშავეობა ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით კლებულობს, მაგრამ საბოლოოდ მოსპობილი არ არის.

ჯერ კიდევ ხშირია ისეთი საზოგადოებრივად საშიში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, როგორიც არის ხულიგნობა. საზოგადოების აღშფოთებას იწვევს სამართალდარღვევის ხშირი შემთხვევები არასრულწლოვანთა მიერ. მსგავსი გამოვლინებები კი შეუწყნარებელია ჩვენი საზოგადოებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილება „დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებების შესახებ" და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" წარმოადგენს საბჭოთა საზოგადოების ნებისყოფის გამოხატულებას და ნაკარნახევია თვით ცხოვრების მიერ. ამ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებმა ახალი ეტაპი შექმნეს დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.

ხულიგნობა ყველაზე უფრო გავრცელებული დანაშაულია. სასამართლოებში გარჩეული თითქმის ყოველი მესამე საქმე ხულიგნობას შეეხება. ამ დანაშაულის სოციალური საშიშროება ის არის, რომ იგი ხშირად სხვა, უფრო საშიში დანაშაულის დასაწყისი ხდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულება აძლიერებს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ხულიგნური მოქმედებისათვის, ამცირებს ხულიგანთა სამართალში მიცემის ვადებს. უნდა ითქვას, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთა პრაქტიკაში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როდესაც თავხედური ხულიგნური მოქმედების ჩამდენი პირი დროულად არ არის იზოლირებული და ხშირად უფრო საშიშ დანაშაულს სჩადის. ახალი ბრძანებულებით დაკანონებულია, რომ ხულიგნური მოქმედების ჩამდენი პირი, უგამონაკლისოდ, დაუყოვნებლივ უნდა იქნას დაპატიმრებული.

აქვე უნდა ითქვას, რომ ხულიგნობაში მხილებული დამნაშავე პირის მშრომელთა კოლექტივებისათვის გადაცემა აღსაზრდელად დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული უმნიშვნელოა და საშიში არ არის თავისი შედეგებით. ეს ღონისძიება არავითარ შემთხვევაში არ შეეხება ბოროტი ხულიგნობის ჩამდენ პირებს.

26 ივლისის ბრძანებულებით მნიშვნელოვნად გაიზარდა პასუხისმგებლობა წვრილმანი ხულიგნობისათვის. ეს ღონისძიება ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა დანაშაულის აღკვეთისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში სწორედ წვრილმანი ხულიგნობა — საზოგადოებრივი ქცევის წესების დარღვევა და თავაშვებულება, თუ იგი თავის დროზე მკაცრად არ იქნა აღკვეთილი, გადაიზრდება ბოროტულ დანაშაულში.

საზოგადოებრივი ზნეობისადმი უპატივცემლოდ განწყობილმა პირმა თავისი უზნეობის გამოვლინებისთანავე უნდა იგრძნოს კანონის მძიმე ხელი, შეიგნოს, რომ მკაცრად ისჯება ადამიანების აბუჩად აგდებისათვის, აღვირახსნილობისათვის. სწორედ ამიტომ ახალი ბრძანებულებით წვრილმანი ხულიგნობა, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ისჯება პატიმრობით ათიდან თხუთმეტ დღე-ღამემდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთიდან ორ თვემდე ვადით ხელფასიდან 20 პროცენტის დაკავებით ან ჯარიმით ათიდან ოცდაათ მანეთამდე. წვრილმანი ხულიგნობისათვის თავისუფლების აღკვეთის მკაცრი რეჟიმია დაწესებული. დამნაშავეებს ახდევინებენ კვებისა და პატიმრობაში ყოფნასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. მათ ეკრძალებათ მიწერ-მოწერა, ამანათების მიღება, კვების პროდუქტების ყიდვა, პაპიროსის მოწევა. პატიმრობაში ყოფნის დროს ხელფასი მუდმივი მუშაობის ადგილზე არ ეძლევათ. ხოლო დაპატიმრებული არასრულწლოვანის კვებისა და რჩენის ღირებულება გადახდებათ მის მშობლებს.

წვრილმანი ხულიგნობისათვის დაპატიმრებულებს შრომის აუნაზღაურებლად იყენებენ ქუჩების, ეზოების, საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების დასასუფთავებლად და სხვა ფიზიკურ სამუშაოებზე. ყველა მათგანი რეგისტრირებულ იქნება მილიციის ორგანოებში, საჭირო შემთხვევაში ფოტოგრაფირებითა და თითების ანაბეჭდების აღებით.

სასჯელი წვრილმანი ხულიგნობისათვის წარმოადგენს ადმინისტრაციული ზემოქმედების სახეს. ამიტომ ღონისძიება, რომელიც შეეფარდება სამართალდამრღვევს, არ იწვევს ნასამართლობას, არ შეიძლება სამუშაოდან დათხოვნის საფუძველი გახდეს, არ წყვეტს მუშაობის სტაჟს.

ახალი ბრძანებულება აძლიერებს პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის.

ისინი ვინც ქუჩებსა თუ სხვა საზოგადოებრივ ადგილებში გამოდიან მთვრალი, რაც შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებასა და საზოგადოების ზნეობას, ისჯებიან ჯარიმით სამიდან ათ მანეთამდე ოდენობით, რასაც ახდევინებს მილიციის ორგანოს უფროსი.

რასაკვირველია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს საერთოდ არ შეიძლებოდეს ქუჩაში ნასვამი კაცის გამოჩენა. ბრძანებულების ეს მუხლი ეხება მხოლოდ იმათ, ვინც საკუთარი თავის კონტროლის უნარს კარგავს გადაჭარბებული სიმთვრალის გამო, ვერ განაგებს თავის მოქმედებას, თავმომაბეზრებლად და დამამცირებლად იქცევა.

ყველგან და ყოველთვის საჭიროა ზომიერების დაცვა, მათ შორის სტუმრიანობასა და მხიარულებაშიც. არავინ არ კრძალავს ღვინის ან სხვა გამამხიარულებელი სასმელის დალევას, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ყველასაგან მოითხოვს ღირსეულად იქცეოდეს ყველგან.

ლოთობა და ალკოჰოლიზმი დამნაშავეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დიდი უმრავლესობა სიმთვრალის შედეგია. ბრძანებულების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მიმდინარე წლის 7 აგვისტოდან რეგისტრირებული ხულიგნების 94 პროცენტი იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში. ამიტომაც არის, რომ ახალ ბრძანებულებაში ხაზგასმით არის აღნიშნული ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის მნიშვნელობა.

ხშირია შემთხვევები, როცა პიროვნება უზომოდ სვამს ალკოჰოლურ სასმელს დედმამის, და-ძმების ან ნათესავ-მეგობრების წრეში. სამწუხაროდ, ეს უკანასკნელნი ალკოჰოლური მოწამვლის ფაქტის გულგრილი მაყურებლები არიან. უფრო მეტიც, ზოგჯერ აქეზებენ და აძალებენ კიდეც, მერე ნახევრად გონებადაკარგულ, თავიანთ ნათესავს ბედის ანაბარად გაუშვებენ ქუჩაში. გამოდის, რომ მათ თავიანთი ვალი მოიხადეს იმით, რომ დაათვრეს, „პატივი სცეს" ადამიანს. თუ რას ჩაიდენს ეს „პატივნაცემი" შემდეგ, მათი საქმე არ არის.

შოთა ჯაბახიძემ 27 წლის ასაკში ორჯერ მოასწრო სამართალში ყოფნა. ჯერ ქურდობაზე გაასამართლეს, შემდეგ კი ხულიგნობაზე. სასჯელის მოხდის შემდეგ მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში სწავლობდა. ამას წინათ დამ მიიპატიჟა ბავშვების დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე. ჯაბახიძე უზომოდ დათვრა. მას არც დამ, არც სხვა ნათესავებმა ხელი არ შეუშალეს სმაში. „ვინ იცის, აქეზებდნენ კიდეც, უქებდნენ „ვაჟკაცობას", ის კი არავის უფიქრია, რომ ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებული ჯაბახიძის ჯანმრთელობისათვის ალკოჰოლი დამღუპველი იყო. უფრო მეტიც. მთვრალი ჯაბახიძე მარტოდმარტო გაისტუმრეს შინისაკენ. მან კი ძველ ჩვევას არ უღალატა, მასავით ნაბახუსევ გრიქულ არამის-ძე მოსესიანთან ერთად გორგასალის ქუჩაზე დებოში ატეხა. მათ სასტიკად სცემეს გარდაბნის მეფრინველეობის ფაბრიკის მუშას ვახტანგ პაპაშვილს და ამავე ფაბრიკის ავტომანქანის მძღოლს ალიბარდანოვს, ქვებით დალეწეს ავტომანქანისა და სავაჭრო ფარდულის მინები. ჯაბახიძეს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ასეთი საბედისწერო შედეგით დამთავრდა ამ მოქალაქის თავაწყვეტილობა და ნათესავთა განუკითხავი უდარდელობა მისადმი.

ზაჰესის ქსელის საკონტროლო დისტანციის მუშაკთა საერთო საცხოვრებლის ეზოში დრეობა გამართეს, რომელშიც ქსელის დისტანციის უფროსიც — გვარად ბებიაძე მონაწილეობდა. ამ უკანასკნელმა თავისი ნაცნობი, ავჭალის სილიკატების საამქროს უფროსი ლევან ქობესოვიც მიიპატიჟა. დრეობაში ქობესოვის ძმაც ერია. არავინ არ შეაჩერა ლევან ქობესოვი, როცა იგი უზომოდ თვრებოდა. შემდეგ კი ვერავინ შეძლო მისი დაწყნარება და ყველას უსიამოვნება მიაყენა: სრულიად უმიზეზოდ დებოში ატეხა, სცემა თავის ძმას, ხოლო გალუსტაშვილს, რომელიც მის დამშვიდებას ცდილობდა, ბეჭებში დანა ჩასცა.

ქობესოვი სათანადოდ დაისაჯა ხულიგნობისათვის, მაგრამ საზოგადოებრივი გაკიცხვის ღირსია იმ პირთა საქციელიც, ვინც ეზოებში ქეიფს მართავს და სიმშვიდის, დასვენების საშუალებას არ აძლევს მცხოვრებლებს. ქუჩის კომიტეტებმა, სახლთმმართველობებთან შექმნილმა სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მკაცრი მსჯელობის საგნად უნდა გახადონ მსგავსი შემთხვევები, საზოგადოებრივი სამსჯავროს წინაშე უნდა წარსდგნენ ჯაბახიძის მასპინძლები, ვინც მას ციხისაკენ უბიძგა.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის დადგენილებაში „დამნაშავეობასთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ" განსაკუთრებით ხაზგასმულია საზოგადოებრიობის როლი ამ საქმეში. საწარმო-დაწესებულებების, ფაბრიკების, ქარხნების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პარტიულმა, კომკავშირულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, მშრომელთა კოლექტივებმა ფართო მსჯელობის საგნად უნდა აქციონ საზოგადოებრივი წესრიგისა თუ სამართალდარღვევის ყოველი კონკრეტული შემთხვევა.

საგამომძიებლო და მართლმსაჯულების დარგის მუშაკები, გარდა დამნაშავის სამართალში მიცემისა და დასჯისა, ვალდებული არიან მოახსენონ პარტიულ, კომკავშირულ ან პროფკავშირულ ორგანიზაციას, მშრომელთა კოლექტივის კრებას არა მარტო სამართალდამრღვევის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, არამედ იმათ შესახებაც, ვინც თავიანთი მოქმედებით შექმნა ან ხელი შეუწყო შექმნა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის თუ დანაშაულის ჩადენის ატმოსფერო. უნდა დადგეს იმ პირთა მორალური პასუხისმგებლობის საკითხი კოლექტივის წინაშე, ვისაც თუმცა უშუალოდ არ მიუძღვის ბრალი სამართალდარღვევაში, / მაგრამ თავისი გულგრილობითა და უმოქმედობით ანტისაზოგადოებრივი მოქმედების ატმოსფერო შექმნა.

მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან. ქალაქ სოხუმის მე-14 სკოლაში ახალგაზრდული საღამო ტარდებოდა. ამ საზეიმო ატმოსფეროში ღვინით გალეშილი 30 წლის უქნარა გურამ სურმავა შემოიჭრა, დაერია სკოლის გოგონებს და როცა, როგორც მოსალოდნელი იყო, თანამგრძნობი მზერა არ მიიღო, ერთ-ერთ მათგანს საპარსავი დანით სახე დაუღარა, მეორეს კი სცემა. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მასწავლებლებს. ხულიგანი დააკავეს მილიციის მუშაკებმა. უსაზღვრო იყო სკოლის კოლექტივის აღშფოთება, როცა ხულიგანი სურმავა მეორე დღეს ქუჩაში თავისუფლად მოსეირნე დაინახეს.

სკოლის პედკოლექტ[illegible] სრულიად მარ ბულად და პრინციპულად მოიქცა და და ნა საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე [illegible] მავას დაჯარიმებით.

სკოლის კოლექტივის პრინციპულობამ ნათელზე გამოიტანა ბოროტი ხულიგნო მიჩქმალვის ეს ფაქტი. საბოლოოდ სურმა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

საჭიროა ყველგან, ყველა კოლექტ მთელ ჩვენს საზოგადოებაში შეიქმნას სა გადოებრივი წესრიგის დარღვევისა და ხუ გნობისადმი ულმობელობის ატმოსფერო.

„ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის ძლიერების შესახებ" ბრძანებულების ძა მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქალაქეთა ლებები. ბრძანებულების მე-16 მუხლი ნონებს, რომ მოქალაქეთა მოქმედება დანაშ ლის აღსაკვეთად ან დამნაშავის შესაპყ ბად კანონზომიერი მოქმედებაა, და თუ მოქალაქეთა ამ მართლზომიერი მოქმედ დროს დამნაშავეს ძალაუნებურად ევნოს მეც, ვნების მიმყენებელი არავითარ პას არ აგებს.

ამ ბრძანებულებით დადგინდა საკანო დებლო ნორმა, რომლის ძალითაც **დანაშა ლის ჩადენა სიმთვრალეში წარმოადგ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გა მოებას. ჩვენი რესპუბლიკის კანონმდებლ ბაში ეს ახალი საკანონმდებლო ნორმა**

ცნობილია, რომ სასამართლო პროცეს თუ წინასწარი გამოძიების დროს დამნაშავე ბი ძალიან ხშირად გამამართლებელ მოტ ან უმიზნო მოქმედების ასახსნელად აცხა ბდნენ, „მთვრალი ვიყავი და რა გავაკეთე მახსოვს", ზოგჯერ ობივატელური მსჯელ ბაც იყო ცალკეულ ადამიანებს შორის, მთვრალ კაცს ბევრი რამ ეპატიებაო. ბო უნდა მოეღოს ასეთ მსჯელობას: **სიმთვრ ამძიმებს სასჯელს.**

იმასთან დაკავ რებით, რომ სსრ კავ რის უმაღლესი საბ პრეზიდიუმის 19 წლის 26 ივლი ბრძანებულების მუხლის მე-3 ნაწილ დაწესებულია გადი ბული პასუხისმგებ ბა ხულიგნური მოქ დებისათვის, რაც ჩა ნილია ცეცხლსასრ იარაღის, დანების, ტიტების ან სხვა ც იარაღის, აგრეთვე სხეულის დასაზიანებლ სპეციალურად მომარჯვებული სხვა საგნ გამოყენებით ან გამოყენების ცდით, სსრ ვშირის უმაღლესი სასამართლოს ამასწინ დელმა პლენუმმა განმარტა, რომ ბრძან ლებაში მოხსენებულ „სხვა საგნებს" შეიძ ბა მიეკუთვნოს ყოველი საგანი, რომე დამნაშავეს წინასწარ ჰქონდა მომზადებ და რომელიც, თან ჰქონდა ხულიგნური მოქ დების ჩადენისას გამოსაყენებლად.

სასამართლოებს განემარტათ, რომ **ბო ტი ხულიგნობის ჩადენისათვის პასუხის გლობა ეკისრებათ იმ პირებს, რომლებ თოთხმეტი წელი შეუსრულდათ.**

ახალ კანონმდებლობაში განსაკუთრე ხაზგასმულია ბრძოლის გაძლიერება რე დივისტებთან, იმ პირებთან, რომლებმაც ნმეორებით ჩაიდინეს დანაშაული.

დაწესებულია დამატებითი შეზღუდ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პი ბით ვადამდე განთავისუფლების შეფარდე წესებში იმ პირთა მიმართ, რომლებიც ნათ იყვნენ გასამართლებული მძიმე დანაშ ლისათვის.

1966 წლის 26 ივლისს მიღებულ იქნა დევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი მის ბრძანებულებით **დამტკიცდა დებუ მილიციის ორგანოების მიერ ადმინის ციული ზედამხედველობის დაწესების ხებ იმ პირებზე, რომლებიც განთავისუ დნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილე დან.**

ამ დებულების საფუძველზე ადმინის ციული ზედამხედველობა შეეფარდება გან კუთრებით საშიშ რეციდივისტებს, აგრე იმ პირებს, რომლებიც მსჯავრდადებული ვნენ მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის მოხდის ადგილებში არ დაად გამოსწორების გზას, არ შეეგუენ შრომას, ჩვენებენ ანტისაზოგადოებრივი ქცევის დენციას. მილიციის ორგანოების ნებადაურ ველად მათ ეკრძალებათ ქალაქის ან და ლებული ადგილების ცალკეულ პუნქტ ყოფნა.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევ და ხულიგნობის ჩადენისათვის ხელშემწყ პირობების ლიკვიდაციის მიზნით, ამჟა დასახულია მთელი რიგი პროფილაქტიკუ ღონისძიებანი. ადგილობრივი საბჭოების ა მასრულებელ კომიტეტებს დაევალათ გაა ჯობესონ ქალაქისა და დაბების განათება. ნსაკუთრებით ახალმშენებლობების, პარკებ და ბაღების რაიონებში უზრუნველყოფი უნდა იქნას სახლების შესასვლელების, კიბ ბისა და ბაქნების სტაციონარული განათ ქალაქების გარეუბნებში უნდა დაიდგას ტე ფონ-ავტომატები და სხვ.

სერიოზული ცვლილებაა შეტანილი სა გადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანო სტრუქტურაში; როგორც ცნობილია, რამ ნიმე წლის წინ ლიკვიდირებულ იქნა შინა საქმეთა საკავშირო სამინისტრო, საზოგად ბრივი წესრიგის დაცვის ორგანოთა ხელმ ვანელობა დაკისრებული ჰქონდათ მოკავში რესპუბლიკათა საზოგადოებრივი წესრიგ დაცვის სამინისტროებს. ასეთმა მდგომარ ბამ უარყოფითად იმოქმედა დამნაშავეობ თან ბრძოლის ორგანიზაციის სწორად წ მართვაზე, ვინაიდან არ იყო ისეთი ცენტ ლიზებული ორგანო, რომელიც საზოგადო რივი წესრიგის დაცვის ორგანოების მუშ ბას კოორდინირებულად წარმართავდა.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომ ტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა ს ჭოს დადგენილებით შექმნილია სსრ კავშ რის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

პარტიისა და სახელმწიფოს მიერ შემუ ვებული ღონისძიებების გატარება შექმ პირობებს იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ლიგნობა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლინებები, რომლებსაც ადგილი არ და ჰქონდეს ჩვენს საზოგადოებაში.

დამნაშავეობასთან ბრძოლა, სანიმუშო ზოგადოებრივი წესრიგის დამყარება ქალა ბსა და რაიონებში თვითეული საბჭოთა ა მიანის მოქალაქეობრივი და პატრიოტ მოვალეობაა.

მტკიცედ დავიცვათ საზოგადოებრივი წესრიგი

პარტიული აქტივის კრებებზე

სოხუმი, გაიმართა აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი „საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო ორგანიზაციის ამოცანები საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებაში". მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კობახიამ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ პარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. კვარაცხელია, აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი პ. არშბა, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. ადლეიბა, გალის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობის აგროტექნიკოსი, სახალხო რაზმეულის მეთაური რ. ზამთარაია, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის პროკურორი მ. არგუნი და სხვები.

კრებამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილება **საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების** წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ და განხილული საკითხის გამო მიიღო შესაბამისი რეზოლუცია.

ქუთაისი, აქ გაიმართა ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა საკითხი. მოხსენება გააკეთა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ს. სახარულიძემ.

კრებაზე აღინიშნა, რომ ქუთაისის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შე**ხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს** პრეზიდიუმის 1966 წლის 26 ივლისის ბრძანებულებას „ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ქალაქის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ბრძანებულებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ ორჯონიკიძის სახელობის საავტ მობილო ქარხნის დირექტორი გ. კო ლაძე, მილიციის საქალაქო სამმართ ლოს უფროსი გ. შალამბერიძე, გაზეთ „ქ თაისის" რედაქტორი გ. მეფისაშვილ აბრეშუმის კომბინატის პარტიული კომ ტეტის მდივანი გ. ჩუბინიძე, სახალ განათლების განყოფილების გამგის მ დგილე ვ. ლაბაძე, საქართველოს სს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მ ნისტრის პირველი მოადგილე ვ. შად რი და სხვები.

კრებამ ერთსულოვნად მოიწონა პა ტიისა და მთავრობის გადაწყვეტილ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შ სახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა რუსთაველი 800

რუსთაველი და თანამედროვეობა

პოეტის უკვდავება

შოთა რუსთაველის დიდებულმა ქმნილებამ „ვეფხისტყაოსანმა" დიდიხანია მოიარა მთელი მსოფლიო, გაეცნო ახლობელ და შორეულ ქვეყნებს ისევე, როგორც მისი გმირები. თავის სამშობლოში იგი შეუსისხლხორცდა ხალხის ცხოვრებას, მოეფინა ანდაზებად, თქმებად, ბრძნულ აფორიზმებად, შევიდა თვითეულ სახლში, თან ახლდა ქართველს ბავშვობაში წაკითხული პირველი ფურცლებიდან ღრმა მოხუცებულობამდე.

მის გმირთა სახელები საზოგადო სახელებად იქცა, გასცდა საქართველოს ფარგლებს და განსაკუთრებული ცხოვრება მოიპოვა, როგორც მხოლოდ მკაფიოდ გამოხატულ ხალხურ ხასიათებს სჩვევია.

ყველა ხალხის პოეტები შესჭიდებიან უკვდავი პოემის თარგმნის ძნელ საქმეს. კარგად მაქვს წარმოდგენილი მათი მისწრაფება ჩამწვდარიყვნენ შოთას ლექსის სიღრმეებში, რომლებშიც რუსთაველს უხვად აქვს „წყალქვეშა საუნჯენი". მაგრამ მათი ამოტანა ზედაპირზე, სხვა სიტყვებით გადაცემა ქართულს ძალიან დაშორებულ ენაზე მოითხოვდა ძალების დიდ დაძაბვას, რაც ბევრს არ ძალუძდა და მხოლოდ ნაწყვეტებს სჯერდებოდა. მაგრამ თუ ისინი თუნდაც ნაწყვეტებში თავიანთ ნიჭსა და სულის მგზნებარებას ჩააქსოვდნენ, მკითხველები მადლობელი რჩებოდნენ მისაც, რომ ეზიარებოდნენ მანამდე მათთვის უცნობ და მშვენიერ სამყაროს.

საბჭოთა კავშირში „ვეფხისტყაოსნის" საუკეთესო მთარგმნელებად, პოემის მთლიანად გადამთარგმნელ პოეტებად სამართლიანად ითვლებიან ნიკოლოზ ზაბოლოცკი, რომელმაც იგი რუსულ ენაზე თარგმნა, და მიკოლა ბაჟანი, რომელმაც თარგმნა იგი უკრაინულად. საზღვარგარეთის თარგმანებიდან საუკეთესოა ფრანგული თარგმანი, რომელიც სერგი წულაძემ შეასრულა.

დიდებული პოემა ჩვენში ცნობილია თვითეული კულტურული ადამიანისათვის. 1937 წელს იუბილეზე თბილისში ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის პოეტებმა ბევრი რამ თქვეს შოთა რუსთაველზე, მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, და ეს სახალხო დღესასწაული სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებში ყველა მონაწილეს.

მკვლევარები, მეცნიერები გვაცნობდნენ ეპოქას, ვნახეთ იმ შორეული დროის საქართველოსთან დაკავშირებული ადგილები და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა უღრმესი სიყვარულით არის გამსჭვალული ხალხი თავისი საოცარი პოეტისა და მისი დიდებული პოემისადმი. ცხადი იყო, რომ პოემას მტკიცედ უჭირავს თავისი ადგილი იმათ სიაში, ვინც მსოფლიო პოეზიის საგანძურთა მსოფლიო პანთეონის მშვენებაა, ყველაზე შესანიშნავ ქმნილებათა თაროზე, თვითეულის პირად ბიბლიოთეკაში.

და რამდენიმე წლის შემდეგ ბედმა მოულოდნელად მარგუნა, მე ვიტყოდი, საოცარი შეხვედრა პოემასთან სულ სხვა გარემოებაში. პ. ი. ჩაგინმა მიმიწვია მონაწილეობა მიმეღო პოემის ახალი თარგმანის უკანასკნელ რედაქტირებაში. თარგმანს უშვებდა მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა მოსკოვში.

ჩამოვედი ლენინგრადიდან, სადაც ვცხოვრობდი, და ერთბაშად გავეცანი ამ თარგმანს, შესრულებულს ცნობილი ქართველი მეცნიერისა და პოეტის შალვა ნუცუბიძის მიერ. თარგმანს რედაქტორობდა სერგეი გოროდეცკი, ცნობილი პოეტი და უაღრესად კულტურული ადამიანი. მე მეგობრული მონაწილეობა უნდა მიმეღო რედაქტირებაში. ქართული ტექსტის უკანასკნელი შემოწმებისათვის მოწვეული იყო ს. ი. ქავთარაძე.

ყოველდღე ადრე დილიდანვე ოთხნი ჩავუჯდებოდით ხოლმე წიგნს და ჩვენს წინაშე სტრიქონ-სტრიქონ იშლებოდა პოემა ქართულ და რუსულ ენებზე. ვისხედით მოჯადოებულნი პოემის თვით ჟღერადობით, მისი სურათებით, მძლავრი სახეებით, ყველაფერს ხელახლა განვიცდიდით პირველიდან უკანასკნელ გვერდამდე. არ მოველოდი, რომ ეს ასეთი მომხიბლავი სანახაობა იქნებოდა. თითქოს ხელით ვგრძნობთ, ჩვენს წინაშე იშლებოდა „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი".

მარგალიტი წყობილი

უმაგალითო სიძნელენი დაემართა მთარგმნელს. საკმარისია ითქვას, რომ რუსთაველის ურთულესი ალიტერაციები მთარგმნელს ისე გადაჰქონდა რუსულ ტექსტში, რომ ადამიანს აკვირვებდა ასეთი დახვეწილი ხერხი. იგი იცავდა ორი სახის შაირსაც, რომლებსაც იყენებდა რუსთაველი, ოთხტაეპოვანი ლექსების დასრულებულობასაც, სადაც ბოლო ტაეპი თავისებური აფორიზმია.

მაგრამ თარგმანის ეს კვლევა კი არ შეადგენდა იმ შორეულ დღეთა (ეს იყო 1941 წლის დამდეგს) მომხიბლაობას, არამედ ნათელყოფა რუსთაველის პოემისა, რომელსაც ტკბილ ტყვეობაში ვყავდით ზამთრის დღის მანძილზე. ყოველ დილით რედაქციის ვიწრო, ჩვეულებრივ ოთახში რომ ვბრუნდებოდი, ვგრძნობდი, როგორ ცოცხლდებოდა რუსთაველის სტროფები, მათ იქით როგორ წარმოდგებოდა ეპოქა, ადამიანები, ისმოდა ლაპარაკი, ქალთა სიცილი, ხმლების ჩახაჩუხი. გამახსენდა ჩემთვის მოყოლილი ამბავი, ქართული პოეზიის დიდმა მოტრფიალე ერთმა ქართველმა რუს ამხანაგებს რომ წაუკითხა ნაწყვეტი რუსთაველის პოემიდან. კითხულობდა იგი გატაცებით, შთამბეჭდავად, და როცა კითხვა გაათავა, ჰკითხა დამსწრეთ, რომლებმაც ენა არ იცოდნენ, რაზეა ლაპარაკი ამ ნაწყვეტში. ერთ-ერთმა მსმენელმა, სამხედრო პირმა, თქვა: „აქ იმდენი ძალაა და სიტყვათა შეჯახება, რომ რომელიღაც ბრძოლაზეა ლაპარაკი. ლექსის წყობა მაფიქრებინებს, ეს ბრძოლა უნდა იყოს". ქართველი, პოემის ნაწყვეტს რომ კითხულობდა, კმაყოფილად შეიშმუშნა: „ეს ქაჯეთის ციხის აღებაა! აი როგორა ჟღერს რუსთაველის ლექსი, უთარგმნელადაც გასაგებია!".

მე არაერთხელ წამიკითხავს „ვეფხისტყაოსანი", მაგრამ მხოლოდ ასეთი გულდასმითი, ღრმა გარჩევის დროს ვიგრძენი მთელი მძლავრი ძალა პოეტისა, რომელიც უდიდეს სივრცეებს გადასწვდა, სცენებს დრამატული მოქმედება შესძინა, უხვად მიმოაბნია სახეთა, თქმათა ფილოსოფიურ ფორმულათა თვალმარგალიტი, მოგვცა ლექსის სტროფების მუსიკა, ლექსის სიზუსტის უმაღლესი ჟღერადობა, მეტაფორათა სიუხვე.

რაც შეეხება ყველაზე მთავარ გმირ ქალს, რომლადაც თამარ მეფეს გულისხმობენ, პოემის უკვე მეოთხე სტროფის წაკითხვა ფარავს პოეტის მისწრაფებას, როცა ამბობს:

თამარს ვაქებდეთ მეფესა
სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი ვისნი მე
არ ავად გამორჩეული.
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა
და კალმად მე ნა რხეული,
ვინცა ისმინოს, დაესვას
ლახვარი გულსა ხეული.

პოემის თავისუფალ მოძრაობას მიღმა, გმირებსა და მათს თავგადასავალს, ვნებათაღელვასა და განსაცდელთა მიღმა ვხედავდი რისთვისაც იქმნებოდა ეს ძლიერი ხასიათები, რისთვის წარმოითქმოდა ეს მგზნებარე სიტყვები და გამოითქმოდა ისეთი თავისუფალი აზრები, რომლებსაც არ შეიძლებოდა მსმენელნი მრავლად არ გასჩენოდათ. სამწუხაროდ, მათ ისმენდნენ არა მარტო პოეზიის თაყვანისმცემლები, არამედ ისეთი ძალებიც, როგორიც ეკლესიის მეუფენი იყვნენ.

ამით ხომ არ აიხსნება, რომ პოემას მუდამ სდევნიდა ქართველი სამღვდელოება, რომელიც არ ერიდებოდა იმას, რომ დაეწვა ხელნაწერები და წყალში ჩაეყარა პირველი გამოცემა, როგორც მავნე წიგნი, როგორც საწამლავი მორწმუნეთათვის.

პოემის ფურცლებიდან კი მე აღვიქვამდი გმირობას, სიყვარულს, უაღრესად ფართო მეგობრობას, მესმოდა ხალხთა მეგობრობისაკენ, დამონებელთაგან სამშობლოს დაცვისაკენ მომწოდებელი ხმა. ვხედავდი სამშობლოს უხვად დახატულ სურათებს, რომლებშიც გამოსჭვიოდა მშობლიური მიწისადმი სიყვარული. ფეოდალურ, რაინდულ, სულ სხვა წესებში აღზრდილ საზოგადოებაში წარმომდგებოდა რაღაც სხვა დროის ადამიანი.

დიახ, მე ვნახე პოეტი, რომელმაც აღმოსავლეთის აღორძინების პირველი საგალობელი თქვა. არც ყურანის სურები და არც ეკლესიის ფსალმუნები და მცნებები არ იზიდავდა პანთეიზმისა და თავისუფალი ადამიანის ხორციელი სიყვარულის რაღაც ცეცხლით აღსავსე ამ ღვთისმებრძოლ სულს.

მე მხოლოდ მიწიერ სილამაზეს შევასხი ხოტბა, ამბობს პოეტი. შემოქმედებითი გენიის ეს გაქანება მოიცავდა იმ სამყაროს დიდ ქვეყნებს, რომელშიც მოქმედებდნენ მისი გმირები. ეს იყო ინდოეთი, ეგვიპტე, არაბეთი, ირანი, ხმელთაშუა ზღვის იქით მდებარე ქვეყნები, ვენეცია.

და ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ამას ვერ დაწერდა ვერც მწირი, სენაკში ძველ ხელნაწერებს რომ სწავლობდა, ვერც სწავლული სქოლასტიკოსი, ბერძენ ფილოსოფოსთა შესწავლაში ჩაფლული, ვერც პოეტის ნიჭით დაჯილდოებული მოხეტიალე მომღერალი. ეს იყო ბრწყინვალე აღზრდის, კეთილშობილური წარმოშობის კაცი, რაინდთა შორის რაინდი, მეცნიერთა შორის მეცნიერი, მგოსანთა შორის პირველი მგოსანი.

მის უკან კი იდგა ქვეყანა, გადმოცემებსა და ლეგენდებში გარდასული, მისი საყვარელი იმდროინდელი საქართველო. დიდი, აყვავებული ქვეყანა. მინდვრები, ბაღები, ბოსტნები, მცხოვრებლებით სავსე მდიდარი ქალაქები, სოფლები. მდელოები, სადაც აურაცხელი ჯოგებია, ღვინის მარაგით სავსე მარნები. გზები, რომლებზეც მიმოდიან სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები. ბაზრები, სადაც მოვაჭრე ხალხი ფუსფუსებს. ხელმარჯვენი, ბამბასა და მატყლს, აბრეშუმს, საუცხოო ხალიჩებს რომ ამზადებენ. ულამაზეს ცხენებს საპალნეებით მოაქვთ შესანიშნავი ფარჩეული.

ბობოქარ მდინარეებზე გადებულია ხიდები. სარწყავი არხები ხვდება მოგზაურს და აოცებს თავისი სიდიდით. გორაკებზე ციხე-კოშკები და მონასტრები დგას. საეკლესიო დღესასწაულები იზიდავს ათასობით მლოცველს, რომლებსაც ეკლესიისათვის უხვი შესაწირავი მოაქვთ.

ქვეყანა, რომელმაც გაანადგურა მრავალრიცხოვანი მტრები, მიაღწია სიმდიდრესა და ძლიერებას. იმდროინდელ ინგლისსაც კი, საფრანგეთსაც კი ოქროს ნაკლები მარაგი ჰქონდათ, ვიდრე საქართველოს XII საუკუნეში.

ხუროთმოძღვრებმა ააგეს ისეთი საოცრებანი, როგორიც არის ვარძია, როგორიც არის ბეთანია. სურათები, მინანქარი, ჭედური სინები, თასები, ლანგრები ფართოდ იყო გავრცელებული. მათ უმაღლესი უნარის ოსტატები აკეთებდნენ. ითარგმნებოდა ბრძენი მწერლებისა და პოეტების, მეცნიერების, ისტორიკოსების ნაწარმოებები.

ყოველდღე თითქოს განსაკუთრებული ისტორიული კურსის რაღაც მონაკვეთს გავდიოდი. რუსთაველის სტროფებიდან უცნობი სამყაროს დიდი ცხოვრება გამოკრთოდა.

თვითონ პოეტი? არსად არ ყოფილა რაიმე მითითება მის შემდგომ ბედზე. ლეგენდები ნახულობდნენ მას ათონზე, საბერძნეთში, დიდხანს რომ მოგზაურობდა... ახლა, ამ ცოტა ხნის წინათ მოხუცი რუსთაველის პორტრეტი იპოვნეს იერუსალიმში — წმიდა ჯვრის მონასტერში, და თითქოს ოდნავ გადაიშალა მისი სიცოცხლის ერთი ფურცელი. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია აღმოჩენებისა. დროთა მსვლელობაში მეცნიერები მასალებით, რომლებიც ჯერ კიდევ დაფარულია, აღადგენენ მისი ცხოვრების თარიღებსა და მიჯნებს.

მსოფლიოს დარჩა დიდებული პოემა, რომელსაც კაცობრიობა წაიკითხავს კიდევ ერთხელ, როცა რვაასი წელი შეუსრულდება ქართველ გენიოსს, აღმოსავლეთის აღორძინების მაუწყებელს. მყინვარწვერივით რომ აღმართულა ძველი საქართველოს მთელ ლექსთა მთაგრეხილზე და ყოველი მხრიდან ჩანს.

ყველა ხალხის პოეტები მოვლენ, რათა პატივი სცენ „ვეფხისტყაოსნის" შემქმნელს და ყველა ენაზე შეასხამენ მას ქებათა-ქებას უმაღლესი პოეტური საქმისა საგმიროსათვის, აღორძინების შორეული განთიადისას რომ გვიჩვენა.

„მოეხვივნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდონ", — ამბობს რუსთაველი. ფრიდონისა და ავთანდილის შეხვედრას რომ აგვიწერს.

მადლობელი ვარ ბედისა იმისათვის, რომ შევძელი მომესმინა დიდებული პოემის უკლებლივ ყველა ფურცელი ქართულ ენაზე, ჩავკვირვებოდი ყოველ რთულ სახეს, აღტაცება განმეცადა ყოველი აფორიზმით, განმეცადა ყველა დრამატული ამბავი. როცა დავამთავრეთ, თითქოს გამოვედით პოეტური სიზმრიდან ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ესოდენ რომ არა ჰგავს იმას, რომლითაც მრავალი დღის განმავლობაში ვცხოვრობდით, და სულ სხვა საუკუნის ჰაერით რომ ვსუნთქავდი, თანამედროვე ქალაქს, ახალი სამყაროს, ახალი უმაგალითო სახელმწიფოს შემოქმედთ რომ ვუყურებდი, უნებურად ვიმეორებდი პოემის სიტყვებს:

მზე მოგვეახლა, უკუნი
ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, —
არსება მისი გრძელია!

ახლა, როცა კვლავ ვიქნებით სტუმრად საქართველოს დიდ პოეტთან, ქართველ ხალხთან, სულ სხვა ქვეყანა შეგვხვდება, ვნახავთ მის მიღწევებს, მის ახალ ქალაქებს, მის ახალ ადამიანებს, რომლებსაც თითქოს საერთო არა აქვთ რა ძველი ეპოსის გმირებთან.

მაგრამ ამ გმირთა თვისებები, ბევრი განსაცდელი რომ გაიარეს, ომებისა და გაპარტახების ტრაგიკული წლები რომ განიცადეს, — თანამედროვე ავთანდილებსა და ტარიელებსაც ახასიათებს; დღევანდელი ნესტან-დარეჯანები და თინათინები შორეული შთამომავალნი არიან იმ ლეგენდარული ქალებისა, რომელთა მშვენიერებასაც ხოტბა შეასხა რუსთაველმა.

რუსთაველის დიადი ჰუმანიზმი შეერთო საბჭოთა ეპოქის საუცხოო ჰუმანიზმს. სიყვარულსა და მეგობრობაში ერთგულება დღესაც გვხვდება, როგორც ჩვეულებრივი მოვლენა, მიუხედავად დროის მთელი სირთულისა. მხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა ჩვენს დროში ვიხილეთ იმ სამკვდრო-სასიცოცხლო განსაცდელის ჟამს, რომელიც ძლევამოსილად გადალახა ჩვენმა სამშობლომ, როცა თავს დაგვესხა მთელი თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის საშინელი მტერი. მშვიდობისა და სინათლის ეს მტერი ჰგავდა ძველი დროის ურდოებს, რომლებიც ყველაფრის დანგრევასა და დამონებაზე ოცნებობდნენ. და ამ ბრძოლაში წინა კიდეზე გაისმოდა რუსთაველის სტროფები, როგორც ლოზუნგი, როგორც სამშობლოს ერთგულ შვილთა ფიცი.

სიკვდილის არაფრად ჩაგდება გვიჩვენეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა ჩვენმა გმირებმა, იმიტომ რომ ჩვენი ძმური კავშირი ურყევი და მტკიცეა.

და რუსთაველის დღესასწაული საქართველოში და ყველგან საბჭოთა კავშირში ჩვენი საერთო, პოეტური დღესასწაულია, მეგობრობისა და ერთგულების ზეიმია!

ნიკოლოზ ტიხონოვი.
ქ. მოსკოვი.

1966 წ. სექტემბერი.

ახლოვდება შოთას დღეები



იოსებ ნონეშვილი

ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს

ზღვებზე მისი სული ელავს
თეთრად მოფრიალე აფრად.
თუ მისი უკვდავება გჯერათ,
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

ღმერთს ევედრებოდა ბერი
თუ გმირი მტერს სცემდა ზაფრას,..
სწავლულნო, ნუ დაიბენით,
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

ჰერეთის მკვიდრი თუ მესხი?..
სიკვდილი სად ჩაესაფრა?..
თუ მგოსნის ტკბილქართული გესმით,
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.
სავანე სჭირდება განა
გრიგალს, მოგუგუნეს მძაფრად?
მკვლევარნო, დაისვენეთ, კმარა...
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

რად გინდათ გვატიროთ ვიღაც —
მიწა რამდენს ხურავს საბნად...
თუ მართლა რუსთაველი გვიყვარს —
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

ჩვენს სოფლებს, ქალაქებს, დაბებს,
მთას, მინდორს, ჭიუხს თუ ნაპრალს,
სიცოცხლის უკვდავ ნათელს აფენს...
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

ვიცანით სიტყვები მისი
ვენახად, თავთავად, თაფლად.
ჩქეფს ლექსი — რუსთაველის სისხლი...
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

დე, ნააკვნარიც და კვალიც
ვიცოდეთ შორეულ ზღაპრად.
ის ჩვენი უკვდავება არის, —
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს.

ის ჩვენი პალმის რტოც არის
და ჩვენი დიდების დაფნაც.
არ არის რუსთაველი მკვდარი,
ნუ ეძებთ რუსთაველის საფლავს!

ჩვენი რუსთაველისა

მსოფლიო აღნიშნავს

Rusthaweli
Schotha
POET OF LOVE FRIENDSHIP AND VALOR

საზღვარგარეთის ქვეყნების საზოგადოებრიობა შეუნელებელ ინტერესს იჩენს საქართველოსადმი. ეს ინტერესი განუზომლად გაიზარდა გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, რომელიც აღინიშნება მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს პოპულარიზაციისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებში დიდ საქმეს აკეთებს ახალი ამბების სააგენტო, რომელიც მსოფლიოს ათეულ ქვეყანაში უშვებს ჟურნალებსა და გაზეთებს. მაგალითად, ჟურნალმა „სსრ კავშირმა", რომელიც ბრაზილიაში ესპანურ ენაზე გამოდის, ბოლო ნომერი შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით მთლიანად მიუძღვნა საქართველოს. ჟურნალში დაბეჭდილია სტატია „ვეფხისტყაოსნის" ავტორის შესახებ, მოყვანილია ოთხი დიდი ნაწყვეტი პოემიდან.

ჟურნალი ბეჭდავს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის შ. ბუხრაშვილის სტატიას „ჩვენი დედაქალაქი", რომელშიც გაშუქებულია საქართველოს მარგალიტის — თბილისის აწმყო და მომავალი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ი. ჯალაღანია თავის სტატიაში „ხალხის გმირული ეპოპეა" მკითხველს აცნობს საქართველოს გმირულ ისტორიას. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები საქართველოში მერაბ ლორთქიფანიძე და ივეტა ბუაჩიძე ჟურნალის ფურცლებზე აშუქებენ საქართველოს მიწა-წყალზე მომხდარ შესანიშნავ გარდაქმნებს, მრეწველობის, მეცნიერების, განათლების, კურორტების განვითარებას. აქვე დაბეჭდილია ნარკვევი მუშასა და სახელმწიფო მოღვაწეზე ამირან ფანცულაიაზე.

ლენინური პრემიის ლაურეატის, შესანიშნავი საბჭოთა მოცეკვავის ვახტანგ ჭაბუკიანის შესახებ ჟურნალში გამოქვეყნებულია რ. გოგოლაძის ნარკვევი. ჟურნალში მოთავსებულია ქართული ხალხური ლეგენდები და სიმღერები, ეროვნული სამზარეულოს რეცეპტები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართულ სპორტს, იმ ბრაზილიელთა გამონათქვამებს, რომლებმაც საქართველოში იმოგზაურეს.

ჟურნალი უხვად არის ილუსტრირებული ფერადი და შავ-თეთრი ფოტოსურათებით, ქართველ მხატვართა ნახატებით, ეროვნული ორნამენტებით.

შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერებისა და ჟურნალისტების ვრცელი მასალები დაბეჭდილია ჟურნალებში, რომლებსაც ახალი ამბების სააგენტო უშვებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. იაპონიაში, ინდოეთში, ფინეთში, დანიაში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. ჟურნალებში მოთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების შ. ნუცუბიძის, ა. ბარამიძის, გ. ჯიბლაძის, ი. აბაშიძის, პროფესორების დ. კობიძის, გ. იმედაშვილის, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის ბ. ჟღენტის სტატიები, აგრეთვე მხატვრების ს. ქობულაძის, უ. ჯაფარიძის, ი. თოიძის, ლ. გუდიაშვილისა და სხვათა ილუსტრაციები.

იუბილეს დღეებისათვის ახალი ამბების სააგენტოს გამომცემლობაში ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოვა ჟურნალისტების მ. ლორთქიფანიძისა და ნ. ცუმცუმოვას ილუსტრირებული წიგნი „რუსთაველის ქვეყანაში".

სტატიები შოთა რუსთაველის შესახებ, რომლებიც ახალი ამბების სააგენტომ მოამზადა, დაბეჭდილია მთელი მსოფლიოს პრესაში.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის ზეიმისათვის ახალი ამბების სააგენტო ამზადებს გამოფენას, გამოფენაზე ექსპონირებული იქნება მთელი მსოფლიოს ჟურნალები და გაზეთები, რომლებმაც დაბეჭდეს მასალები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. (საქტაგი).

* * *

სურათზე: ახალი ამბების სააგენტოს საზღვარგარეთული გამოცემები მასალებით შოთა რუსთაველის შესახებ.

ბუნების მშვენება, დიდი საუნჯე

18 სექტემბერი ტყის მუშაკის დღეა!

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მრავალათასიანი კოლექტივი დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 13 აგვისტოს ბრძანებულებას „ტყის მუშაკის დღის" დაწესების შესახებ, რომელიც წელს პირველად აღინიშნება.

საქართველოს რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის ერთი მესამედი, ანუ სამ მილიონამდე ჰექტარი ტყეებს უჭირავს. მათი 96 პროცენტი განლაგებულია მთის კალთებზე, მთავარი მდინარეების სათავეებში, სამრეწველო ქალაქებისა და კურორტების მიდამოებში.

უაღრესად დიდია ჩვენი ტყეების ნიადაგდაცვითი, წყალშემნახავი და საკურორტო მნიშვნელობა.

ის გარემოება, რომ საქართველოში ასე კარგად ხარობს ვაზი, ხეხილი, ჩაი, ციტრუსები და სხვა ძვირფასი კულტურები, უპირველეს ყოვლისა იმის შედეგია, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთის ფერდობები ძირითადად დაფარულია ტყეებით.

ჩვენი მთის ტყეების კარგ მდგომარეობაზე დიდად არის აგრეთვე დამოკიდებული მინერალური და სამკურნალო წყლების — ბორჯომის, საირმის, ზვარეს, უწერის და სხვათა დებიტის შენარჩუნება-რეგულირება.

ასევე ჰიდროელექტრონაგებობათა ქსელის განვითარება, საირიგაციო სისტემის მოწყობა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა მთლიანად დამოკიდებულია წყლის ნორმალურ რეჟიმზე, წყლის რეჟიმის მთავარი მარეგულირებელი ფაქტორი კი ტყეებია.

ძველთაგანვე საქართველოს ტყეები განთქმულია ძვირფასი მერქნიანი ჯიშებით, აგრეთვე სამკურნალო, ხეხილნაყოფიანი, ტექნიკური, თაფლოვანი და მრავალი სხვა სასარგებლო თვისების ტყის ჯიშების სიმდიდრითა და სიმრავლით, რომელთაგან წამყვანი ჯიშებია წიფელი, ნაძვი, სოჭი, მუხა, ფიჭვი, და სხვა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა ტყეების მოვლა-დაცვის საქმეს, რის შედეგადაც საქართველოში ტყე ბევრგან სრულიად გაიჩეხა და გამეჩხერდა.

არსებული ცნობების თანახმად 1911-1917 წლებში ყოფილ თბილისის გუბერნიაში მოჭრილ იქნა 127 ათასი ჰექტარი ტყე, ქუთაისის გუბერნიაში კი ამავე პერიოდში ტყეების ფართობი 206 ათასი ჰექტარით შემცირდა.

ტყეების შენარჩუნებისა და ტყის რესურსების სწორი და რაციონალური გამოყენებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის რესურსების შესწავლას. რესპუბლიკის სახელმწიფო ტყეები მთლიანად შესწავლილია და დადგენილია მეურნეობის სწორად წარმოების გზები და ხერხები.

საბჭოთა მთავრობის დადგენილებით საქართველოს მთიანი ტყეები აღიარებულია პირველი ჯგუფის წყალდაცვითი მნიშვნელობის ტყეებად და აქ ტყით სარგებლობა შეზღუდულია.

რესპუბლიკის ტყეების მოვლა-დაცვისა და მათი აღდგენა-განახლების საქმეს ემსახურება 52 სატყეო მეურნეობა და ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქის 3 სამმართველო, 3 სახელმწიფო სანერგე და ერთი მეთესლეობის კანტორა. ტყეების მოვლა-დაცვისა და აღდგენა-განახლების საქმეს წარმართავს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მრავალათასიანი კოლექტივი.

ტყეების მოვლა-დაცვისა და მათი აღდგენა-განახლების გეგმებს წარმატებით ასრულებს ჩვენი რესპუბლიკის ბევრი სატყეო მეურნეობა.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მუშაობაა გაჩაღებული წარსულში გაჩანაგებული ტყეების აღდგენა-განახლებისა და ახალი ფართობების გასატყიანებლად.

თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არცერთი ჰექტარი ტყე არ იყო გაშენებული, ხოლო 1926 წლიდან 1953 წლამდე გაშენდა 24 ათასი ჰექტარი ტყე, 1954 წლიდან დღემდე, ე. ი. 12 წლის განმავლობაში გაშენებულია 43 ათასი ჰექტარი.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ისეთი ძვირფასი ჯიში, როგორიც არის კაკალი, გაშენებულია 10 ათას ჰექტარზე.

უკანასკნელი შვიდწლედის განმავლობაში ტყის აღდგენითი ღონისძიებანი შესრულებულია 154 ათას ჰექტარზე.

მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა ტყის აღდგენა-განახლების დარგში შესრულებულია: სანერგისა — 113 პროცენტით და პლანტაციისა—103 პროცენტით.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი ზიანი მოაქვს სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის ზაფხულის მშრალ და ზამთრის ცივ ქარებს. წლების განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში სისტემატურად ნადგურდება ერთწლიანი კულტურები ეროზიული მოქმედებისაგან, დასავლეთ საქართველოში ყინვისაგან პერიოდულად ზიანდება ციტრუსები და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურები.

ამიტომ სოფლის მეურნეობის კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს მინდორსაცავი ზოლების გაშენებას.

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ გაშალა ამ მიმართულებით მუშაობა და 1959-1965 წლებში გააშენა სახელმწიფო ტყის დაცვითი ზოლები 3.357 ჰექტარზე.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა განსაკუთრებული ღონისძიებები განახორციელა დედაქალაქის მიდამოების გატყიანების საქმეში.

დღეისათვის ამ მიდამოებში 6.000 ჰექტარამდე ფართობზე გაშენებულია ტყის კულტურები, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თბილისის სანიტარულ-კლიმატური პირობები და გაფართოვდა თბილისის მშრომელთა დასასვენებელი ადგილები.

ქალაქის ირგვლივ მწვანე მასივების შექმნის საქმეში აქტიურად მონაწილეობენ მშრომელთა ფართო მასები.

თბილისის ზღვის მიდამოებში გაშენებულია უნიკალური ტყეპარკი და ტყებაღი 270 ჰექტარზე, სადაც დარგულია 400-მდე სხვადასხვა სახის ძვირფასი და დეკორაციული ჯიშის 500 ათასამდე ძირი ხე-ბუჩქი.

წარსულში საქართველოს მთავარი მდინარეების ხეობები დაფარული იყო გაუვალი ტყეებით. ამ ტყეებიდან სარგებლობდა მოსახლეობა სარის, ჭიგოს, შეშის, ფიჩხისა და სხვა სახის ხე-ტყით. შემოსეული მტრის ურდოები სოფლების განადგურებასთან ერთად ძვირფას ტყეებსაც ანადგურებდნენ.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი შეუდგა ამ ტყეების აღდგენა-განახლებას.

ამ მიზნით დღეისათვის მტკვრის, ქსნის, ივრის, რიონის, ალაზნის და სხვა მდინარეთა ხეობებსა და ჭალებში 3.560 ჰექტარ ფართობზე გაშენებულია სწრაფმზარდი ვერხვის კულტურები.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტყეების ფართობი 600 ათას ჰექტარს შეადგენს, იგი ძირითადად განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მომიჯნავე მთის ფერდობებზე და ხელს უწყობს უხვი და მყარი მოსავლის მიღებას.

ამ ტყეების ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს მათი მოვლა-დაცვისა და აღდგენა-განახლების საქმის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ტყის მეურნეობის გეგმების შესრულების, ტყის მოვლა-დაცვის და ტყის კულტურების გაშენების საქმეში თავი ისახელა ბევრმა სატყეო მეურნეობამ და ცალკეულმა მუშაკმა. მოწინავეთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ თიანეთის, მახარაძის, თბილისის, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, სამგორის, კოლხიდის, წითელწყაროს, ასპინძის სატყეო მეურნეობებისა და ხობის სახელმწიფო სანერგის კოლექტივები.

საქართველოს ტყეებს ყოველთვის ამშვენებდა მრავალი სახის ძვირფასი სასარგებლო სანადირო ფაუნა, როგორიც არის კავკასიური ირემი, შველი, ჯიხვი, არჩვი, ხოხობი, დურაჯი, კაკაბი და სხვ. სამწუხაროდ, მტაცებლურმა ნადირობამ ფაუნის ეს მეტად ძვირფასი სახეობები განადგურების კარამდე მიიყვანა.

უკანასკნელ ათ წელიწადში მთელ რიგ გადამჭრელ ღონისძიებათა მიღების შედეგად რესპუბლიკაში ნადირ-ფრინველი საგრძნობლად გაიზარდა. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ძვირფასი სანადირო ფაუნა გადარჩენილია განადგურებას და დამდგარია აღმავლობის გზაზე. დღეისათვის ჩვენს ტყეებსა და მინდვრებშია დაახლოებით 6.000 ირემი, 28.000 შველი, 30.000 არჩვი, 14.000 ჯიხვი, 25.000 ხოხობი, 2.000 დურაჯი და ა. შ.

საქართველოში 85 ათას ჰექტარ ფართობზე შერჩეულია ბუნების ძვირფასი ობიექტები, რომლებიც გამოცხადებულია სახელმწიფო ნაკრძალებად. ასეთებია ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ბორჯომის, აჯამეთის, რიწის, ბიჭვინთის, მიუსერის ნაკრძალები, სადაც წარმოებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა ახალ ხუთწლედში გაითვალისწინა ტყის აღდგენითი სამუშაოები შესრულდეს ორჯერ მეტი მოცულობით, ვიდრე გასულ შვიდწლედში. შორეული ტყის მასივების ასათვისებლად გაყვანილი იქნება სამეურნეო მნიშვნელობის გზები. საგრძნობლად გაიზრდება მოვლითი, სანიტარული ჭრების ფართობი და ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის მოცულობა. ხუთწლედში მოვლითი ჭრა მოეწყობა 7 ათას ჰექტარზე და დამატებით დამზადდება 580 ათასი კუბური მეტრი ხე-ტყე.

სატყეო მეურნეობის წინაშე დასახული გეგმების პრაქტიკულ განხორციელებაში დიდ დახმარებას გვიწევდა თბილისის სატყეო ინსტიტუტი, რომელმაც მეცნიერული კვლევის შედეგად საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მთიან ტყეებში ტყის სწორი მეურნეობის წარმოებას. აქ დამუშავდა თბილისის მიდამოების ფერდობებსა და სხვა უტყეო ფართობებზე ტყის კულტურების წარმოების წესები. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქარსაფარებისათვის დადგენილ იქნა ჯიშთა შემადგენლობა, ზოლებისა და ზოლშორის მანძილები და მათი გაშენების მეთოდები.

სატყეო მეურნეობის მრავალათასიანი კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ი. ჩოდრიშვილი,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

იგი ტყეს იცავს

უკვე ორმოცდაერთი წელია დადის საქართველოს ტყეებში გრიგოლ ჩარკვიანი. ბევრი რამ უნახავს თავის სიცოცხლეში ამ გამოცდილ მეტყევეს. იგი ტყეებს იცავდა გაგრის რაიონში, უკანასკნელ თოთხმეტ წელიწადს კი მეტყევედ მუშაობს ავადხარის ტყეებში — რიწის ტბის ზემოთ.

გულით უყვარს გრიგოლს თავისი პროფესია. ყოველგვარ ამინდში — ცხელა თუ თოვლი დევს, იგი დინჯად დააბიჯებს ავადხარაში ნაძვის, ფიჭვისა და სოჭის ხეებს შუა, ადის მაღლა კავკასიონზე. უყვარს გრიგოლს აქაური ადგილები და არასოდეს არ გაცვლის მათ ქალაქურ ცხოვრებაზე.

ეს თავისი პროფესიის სიყვარულია, ბუნების სიყვარულის გრძნობაა.

სურათზე: გრიგოლ ჩარკვიანი.
ფოტო და ტექსტი ვლ. გინზბურგისა.

ახალი ამბები

გიწვევთ სამოგზაუროდ!

რუსთავი. (საკ. კორ.). ვთქვათ, რომელიმე საწარმოსა თუ ორგანიზაციის კოლექტივმა გადაწყვიტა დასვენების დღე საექსკურსიოდ გამოიყენოს, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორი-სამი დღით ადრე რეკავს ტელეფონით 29-34.

— გისმენთ საექსკურსიო ბიურო, — ისმის ყურმილში.

ლაპარაკი ხანგრძლივი არ არის, სულ რამდენიმე შეკითხვა და პასუხი:

— გვინდა ვიმოგზაუროთ რიწის ტბაზე.

— რამდენი კაცი იქნება?

— შეკვეთა მიღებულია და დანიშნულ დღეს შეგიძლიათ განახორციელოთ ჩანაფიქრი.

საექსკურსიო ბიუროს წყალობით, რომელიც წელს გაიხსნა რუსთავში, 20 ათასზე მეტმა რუსთაველმა ინახულა რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ საინტერესო ისტორიული ადგილები.

ისინი იყვნენ ვარძიაში, ალავერდში, მცხეთაში, სოხუმში, ქუთაისში, გელათში, სოჭში, ბაქოში, ერევანში, მარუხის მისადგომებთან, გელათის მონასტერში და სხვ.

და განა მარტო რუსთაველებს ემსახურება საექსკურსიო ბიურო?

როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ა. არსენიძემ გვითხრა, ისინი, ემსახურებიან რუსთავის სანახავად ჩამოსულ ექსკურსანტებსაც. მათმა რიცხვმა წელს 15 ათასს გადააჭარბა.

ახალი მარშრუტით

თელავი, დაიწყო ავტობუსების მოძრაობა ახალი მარშრუტით, რომელიც რაიონულ ცენტრს აკავშირებს სოფელ ალავერდთან. თელავის რაიონში ეს უკვე 47-ე მარშრუტია. ამ რაიონის ტრასებზე მუშაობს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კონტორის 60 ავტობუსი. ახლა თითოეული ავტობუსის სადღეღამისო გარბენა საშუალოდ შეადგენს 270 კილომეტრს. ამასთან დღეში ავტობუსებს გადაჰყავთ 10 ათასამდე მგზავრი.

ახლა თელავის რაიონის ყველა დასახლებული პუნქტი დაკავშირებულია რაიონულ ცენტრთან. თელავიდან ავტობუსები გადის აგრეთვე თბილისში, გურჯაანში, სიღნაღში, წნორში, ლაგოდეხში, ყვარელში, ახმეტასა და საგარეჯოში.

თელავის ავტოსატრანსპორტო კონტორის მანქანები ემსახურებიან ავტობუსის მარშრუტებს, რომელთა საერთო სიგრძე 3.700 კილომეტრზე მეტია, რაც უდრის მანძილს თბილისიდან მოსკოვამდე. 1960 წელთან შედარებით ავტობუსის ტრასების სიგრძე თითქმის ერთიორად გაიზარდა. (საქდესი).

ობელისკი გმირებს

ჩოხატაური. (საკ. კორ.). სოფელ ბუკნარის კოლმეურნეობის მშრომელებმა დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად სოფლის ცენტრში დადგეს ობელისკი.

ამ დღეებში მოეწყო ობელისკის საზეიმო გახსნა, რომელსაც ესწრებოდნენ მეზობელი სოფლების, რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ობელისკის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სამამულო ომის მონაწილეთა სახელით სიტყვით გამოსულმა პენსიონერმა, მასწავლებელმა ა. კუტუბიძემ და სხვებმა ილაპარაკეს თავიანთ თანასოფლელებზე, რომლებმაც თავი დასდეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ობელისკზე ოქროს ასოებით ბრწყინავს ამ პატარა სოფლიდან ომში წასული და დაკარგული 62 ვაჟკაცის სახელი და გვარი.





ფოტოაპარატით საქართველოს მზეზე

ვერტმფრენიდან ბიჭვინთის კონცხს რომ გადაუფრინოთ, თქვენს თვალწინ გადაიშლება ზღვის უბის, ფიჭვნარისა და მშენებარე ახალი კურორტის შვიდი თოთხმეტსართულიანი კორპუსის ლამაზი პანორამა; ეს შენობები ტყეში ისეა ჩადგმული, რომ ბიჭვინთის შესანიშნავი მრავალსაუკუნოვანი ფიჭვები არ დააზიანოს.

ბევრი ლოდინი აღარ დასჭირდებათ ამ ზღაპრული კუთხის მოყვარულთ. მთლიანად დამთავრებულია კორპუსების აგება, ხოლო პირველ ორში უკვე მოპირკეთების სამუშაოები მიმდინარეობს.

თვითეულ შენობა-პანსიონატში დამსვენებელთათვის ყველა პირობა იქმნება. აქ არის ერთოთახიანი ნომრები და ნახევრადლუქსები თავისი სანიტარული კვანძებით. თვითეული კორპუსის მეთოთხმეტე სართულის თავზე მოწყობილია დასასვენებელი მოედნები, რომლებიდანაც ჩანს მთელი კონცხი. ყველა კორპუსში ჩქარი ლიფტებია.

კურორტის მთელი მშენებლობა 1968 წელს უნდა დამთავრდეს. მშენებლებს დიდი მოცულობის სამუშაოები ელით. ახლა სწრაფი ტემპებით შენდება დიდი რესტორანი, ერთდროულად სადაც განლაგდება სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები. აშენდება ბევრი პავილიონი და კაფე-სასაუზმე.

დღეს ჩვენ ვათავსებთ ორ სურათს, რომლებიც გადაღებულია ქალაქ-კურორტის მშენებლობაზე სხვადასხვა წერტილიდან. მარცხნივ პირველ სურათზე ჩანს უბე და ახალი კორპუსები; მარჯვნივ — მეორე კორპუსის კიბის ყაფაზის ხედი.

ვლ. გინზბურგი.

სეზონის პირველი პრემიერა

ბათუმი. (საკ. კორ.). ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრმა წლევანდელი თეატრალური სეზონი გახსნა შ. როყვას ახალი პიესით „დედა“. პიესა სამამულო ომის თემაზეა შექმნილი.

სპექტაკლის რეჟისორია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შ. ინასარიძე. როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნ. თეთრაძე და მ. ხინიკაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები თ. სულხანიშვილი, ნ. კეჟაყმაძე, შ. გეჯაძე, გ. ინაიშვილი და სხვ.

მოკლედ

⊙ **ქუთაისი.** (საკ. კორ.). ისინი ვინც კოოპერაციულ საცხოვრებელ სახლებსა და ინდივიდუალურ ბინებს აშენებენ, დიდ დახმარებას იღებენ სახელმწიფოსაგან.

მარტო მიმდინარე წლის განვლილ რვა თვეში კოოპერაციულ ბინათმშენებლებს გრძელვადიან სესხად მიეცათ 450 ათასი მანეთი, ხოლო ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს — 57 ათასი მანეთი. ბინების კაპიტალური რემონტისათვის ქალაქის მშრომელებს სესხად მიეცათ 15 ათასი მანეთი.

⊙ **საჩხერე.** (საკ. კორ.). რაიკოოპერატივის გამგეობამ გახსნა სკოლა-მაღაზია. მოსწავლეები კვირაში სამ დღეს თეორიულად მეცადინეობენ, ხოლო სამ დღეს პრაქტიკაზე არიან დახლის მუშაკებთან. სკოლა ექვსთვიანია. სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები სოფლის მაღაზიებში იმუშავებენ.

⊙ **ახმეტა.** (საკ. კორ.). ახმეტის ხისდამამუშავებელი კომბინატი (დირექტორი დ. არველაძე) წიფლის მაღალი ხარისხის პარკეტს ამზადებს. სამი წელია, რაც მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მურმანსკიდან, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან, სადაც ახმეტური პარკეტი იგზავნება, რეკლამაცია არ მიუღიათ.

მიმდინარე წლის რვა თვეში კომბინატს 130 ათასი კვადრატული მეტრი პარკეტი უნდა გამოეშვა, ფაქტიურად გამოშვებულია 143 ათასი კვადრატული მეტრი.

⊙ **ცხაკაია.** (საკ. კორ.). ცხაკაიას რაიკოოპერატივმა სახარბედიოს უბანში, მთის ლამაზ ფერდობზე ააგო და ამ დღეებში გახსნა რესტორანი „მენჯი“.

პენსიონერის საჩუქარი

ტაშკენტი, 17 სექტემბერი. (საქდესის კორ.). ჩატკალის მთებში ოქროს საბადო იპოვა ტაშკენტის ოლქის ახანგარანის მცხოვრებმა 76 წლის ისხაკ იაკუპბეკოვმა. ამ რაიონში უზბეკეთის გეოლოგებმა დაიწყეს დაზვერვითი სამუშაოები.

ისხაკ იაკუპბეკოვი, მთებისა და ადგილობრივი ბუნების კარგი მცოდნეა. მას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს გეოლოგებთან. ი. იაკუპბეკოვის განცხადებით წიაღის მზვერავებმა შეამოწმეს ბევრი საინტერესო მადანგამოვლენა, ზოგიერთი მათგანი კი საექსპლოატაციოდ გადასცეს.

რესპუბლიკის გეოლოგიის სამინისტრო მოსახლეობისაგან ყოველწლიურად იღებს ათობით განაცხადს სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების აღმოჩენის შესახებ.

ამურის თვითნაბადი ოქრო

შვიდი თვითნაბადი ოქრო, რომელთა საერთო წონა 3.430 გრამია, იპოვნეს სადაზვერვო ტრანშეის გვირაბგამყვანებმა ოქტომბრის სარეწში. მათგან ყველაზე დიდი — 1.440 გრამი იპოვა სარეწის უხუცესმა მუშამ დორონინმა.

— თვითნაბადი ოქროს ასეთ გროვას ამურის ოქროს სარეწებში პირველად ვხვდებით, — განუცხადა საქდესის კორესპონდენტს სარეწის დირექტორმა ვ. კისელიოვმა. ჩვენი აზრით, ტრანშეის მახლობლად უნდა იყოს ოქროს საბადო. ამიტომ მომავალ წელს გავაძლიერებთ სადაზვერვო სამუშაოებს.

ბლაგოვეშჩენსკი.

შეხვედრები ფინეთის მიწაზე

მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის V კონგრესის მონაწილის ჩანაწერები

მიმდინარე წლის აგვისტოში ფინეთის ქალაქ ლაჰტიში გაიმართა მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის (ფიტ) V კონგრესი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ლიტერატორების ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ა. გატოვი (მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანის საბჭოს პასუხისმგებელი მდივანი), პროფესორი გივი გაჩეჩილაძე (თბილისი) და პროფესორი ე. ეტკინდი (ლენინგრადი). გ. გაჩეჩილაძემ და ე. ეტკინდმა კონგრესზე წაიკითხეს მოხსენებები, რომლებიც კონგრესის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და მაღალი შეფასება მისცეს. ქვემოთ ვბეჭდავთ პროფესორ გ. გაჩეჩილაძის ჩანაწერებს.

◇ ◇

თავისებური და უცნაური გრძნობა სდევნია იმ უცხო ქვეყანაში ჩასვლას, სადაც ერთხელ უკვე ყოფილხარ: თითქოს აღარც კია უცხო, და ისეთი განსხვავებული ენის პატრონი ხალხი, როგორიც ფინელებია, თითქოს გასაგები და მახლობელი ხდება. თანაც სწორედ იმ ქალაქში მომიხდა ჩასვლა, რომელიც შარშან ფინეთში ყველაზე მეტად მომეწონა: ეს იყო ერთდროულად თანამედროვე და წყნარი, სუფთა და გემოვნებით გაშენებული ქალაქი ლაჰტი.

ლაჰტიში უმთავრესად კარელიის ყელიდან გადმოსახლებული ფინელები ცხოვრობენ. ფინელები საქმით არიან გართული, ერთგულად აშენებენ და უვლიან სამშობლოს. დიდი მონდომებით ეთვისებიან თანამედროვე ცივილიზაციას, ცდილობენ დაიცვან დედაენის სიწმინდე, თვალისჩინივით უფრთხილდებიან შრომის მონაგარს. როგორც ცნობილია, მათ დღეს პირველი ადგილი უჭირავთ მსოფლიოში ხუროთმოძღვრების და მშენებლობის საქმეში, წინ არიან ცელულოზის, ქაღალდის, ავეჯის და სინთეტიკური წარმოების დარგში. მაგრამ ძალიან ძნელია მათთან ურთიერთობა იმის გამო, რომ ფინელების დიდმა უმრავლესობამ დედაენის გარდა სხვა ენა არ იცის, ხოლო ფინური ენა იმდენად განსხვავდება ევროპული ენებისაგან, რომ უცხო კაცი ვერაფერს გაიგებს...

ლენინგრადის სადგურში სწრაფად გაიელვეს გამცილებელთა სახეებმა. კარგა ხანს იარა მატარებელმა, რომ ამ დიდ ქალაქს გასცდენოდა. ნაშუადღევს ლაჰტის სადგურში დაგვხვდა ჩვენი ძველი ნაცნობი ლარს ჰამბერგი — ფინეთის მთარგმნელთა საზოგადოების პრეზიდენტი. მანქანა პირდაპირ მატარებელთან შემოეყვანა, და რამდენიმე წუთში მახლობელ სასტუმროშიც მივედით.

ჩვენი სასტუმრო „კაუპაჰოტელი“ ქალაქის მერიის პირდაპირ მდებარეობდა. სასტუმროში მოვეწყეთ და მაშინვე კონგრესის კანცელარიას მივაშურეთ ადგილობრივ ტექნიკურ სასწავლებელში. იქ შევხვდით ფედერაციის მესვეურებს — პრეზიდენტ ზლატკო გორიანს (იუგოსლავია), ვიცე-პრეზიდენტებს პიერ ფრანსუა კაიეს (საფრანგეთი) და იულიუს ვიუნშეს (გფრ). კაიეს ჯერ კიდევ შარშან გავეცანი ფინეთში, ხოლო როდესაც ის სტუმრად გვეწვია საქართველოში ამ გაზაფხულზე, დავმეგობრდით კიდეც. ალბათ ამიტომ მეორე დღეს გაზეთების პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ სურათებში გამოხატული ვიყავით პირველი შეხვედრის მომენტში ძმურად გადახვეულნი. ვიუნშეს კი წვერი მოეშვა და ძლივს ვიცანი.

პირველივე შეხვედრისას გაგვეცნო დასავლეთგერმანელი ვერნერ ვუპერმანი. მას ორივე ფეხი დაზიანებული ჰქონდა, როგორც ჩანს, აღმოსავლეთის ფრონტზე მეორე მსოფლიო ომის დროს, რუსულს მშვენივრად ლაპარაკობდა. შემდეგ, როგორც დავრწმუნდით, კონგრესის მრავალმა მონაწილემ საკმაოდ კარგად იცოდა რუსული. აშკარაა, დღევანდელი დასავლეთი გრძნობს ამ ენის საჭიროებას, მაგრამ ქართული ენის მცოდნე რომ აღმოჩნდა დასავლეთგერმანელთა შორის, ამან კი მართლაც გამაკვირვა. ეს იყო როლფ ტონდორფი, რომელიც ერთ-ერთი მიღების დროს მომიახლოვდა და ქართულად შემომძახა:

— გამარჯობა, მეგობარო!

გამოირკვა, რომ ტონდორფი, ყოფილა ცნობილი გერმანელი ქართველოლოგის მეკელაინის მოწაფე, მაგრამ ქართულის საფუძვლიანად შესწავლა ვერ მოუსწრია. ახლა აპირებს შეავსოს ეს ხარვეზი და მთხოვა გავუგზავნო ქართული ჟურნალ-გაზეთები და ქართული ენის თვითმასწავლებელი. დიდი სიხარულით გამომართვა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ერთადერთი ნომერი, რომელიც თან მქონდა წამოღებული. შემდეგ შეხვედრაზე ტონდორფმა მიამბო, თუ როგორ დაიღუპა ამერიკული ყუმბარებით მეკელაინის მიერ გამოცემული გერმანულ-ქართული ლექსიკონის მთელი ტირაჟი მეორე მსოფლიო ომის დროს.

შვიდ აგვისტოს ლაჰტის საკონცერტო დარბაზში გაიხსნა კონგრესი. ლარს ჰამბერგი, როგორც მასპინძელი, პირველი გამოვიდა. შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა ზლატკო გორიანმა ილაპარაკა. ზლატკო ავადმყოფი ჩამოვიდა. ფეხი ულრძვია და ჯოხს ეყრდნობოდა. გამოვიდა ფინეთის განათლების მინისტრი ჰეილი ჰოსიაც. ყველას მოეწონა ლაჰტის მერის ოლავი კაიალას გულთბილი სიტყვა. სიტყვის ლაიტმოტივი იყო, ლაჰტი ინტერნაციონალური ქალაქია და ყველა სტუმარს სიამოვნებით ეგებებაო. ბოლოს კაიემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „თარგმანი არჩევანია“.

რუსული ლიტერატურის ფინელმა მთარგმნელმა იუჰან კონკამ დიდი ყურადღება გამოიჩინა ჩვენდამი. თავის აგარაკზეც მიგვიპატიჟა, მაგრამ ავდარმა შეგვეშალა ხელი. საერთოდ ფინელი მასპინძლები განსაკუთრებული პატივისცემით გვექცეოდნენ საბჭოთა სტუმრებს.

კონგრესზე ჩამოსულიყო ქართველ მწერალთა ძველი მეგობარი უნგრელი დიერდ რადოც, რომელთანაც შემდეგ ბევრი გულთბილი საუბარი მქონდა. მას იმ საღამოს შევხვდი ქალაქის მერის მიერ მოწყობილ ოფიციალურ მიღებაზე. იმ საღამოსვე გამოირკვა კიდევ ერთი საკვირველი ამბავი: ლაჰტის მერის კაიალას მეუღლე წარმოშობით ქართველი ქალი აღმოჩნდა. ჩემს წინ იდგა საშუალო ტანის, არცთუ ახალგაზრდა, შავგვრემანი ქალი, აშკარად სამხრეთული ტიპისა. ქერათმიან ჩრდილოელ ფინელებთან გარეგნობით არაფერი ჰქონდა საერთო. არც რუსული იცოდა და არც ინგლისური. კონკას საშუალებით გამოვკითხე თავგადასავალი, მაგრამ აღარაფერი ახსოვდა, რადგან ადრე დაობლებულა. ჰელინ კაიალამ თარჯიმნის პირით გადმომცა: — შეგხედეთ თუ არა, მაშინვე მივხვდი, ჩემი თანამემამულე უნდა ყოფილიყავითო.

მესიამოვნა, რადგან გარეგნობით არც ისე ტიპიური ქართველი მგონია ჩემი თავი და ამ უცხოეთში „თუ სულმა სული იგრძნო“ ჩანს, არც ისე ცუდად ყოფილა საქმე-მეთქი. სამშობლოში წამოსვლის წინა დღეს ჰელინ კაიალამ თავის სახლში ყავაზე მიგვიწვია მე და ჩემი საბჭოთა კოლეგები. სუვენირები დაგვირიგა და საქართველოში ჩამოსვლის იმედი გამოთქვა.

ფედერაციის ახალ პრეზიდენტად პიერ კაიე აირჩიეს. კაიე ფედერაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი პირველი პრეზიდენტია (1953-1956 წწ.), შემდეგ უცვლელი ვიცე-პრეზიდენტი, მისი ორგანოს „ბაბილონის“ მთავარი რედაქტორი. კაიე სიამოვნებით იგონებს საქართველოს. მან არჩევის შემდეგ დიდი მიღება მოაწყო კონგრესის ყველა მონაწილისათვის, ერთხელ კი სადილადაც დაგვპატიჟა საბჭოთა კოლეგები და იუნესკოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი როჟე კაიუა. ეს უკანასკნელი რამდენჯერმე ყოფილა საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში.

კონგრესის მუშაობაში საბჭოთა კოლეგების მონაწილეობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მის მიმდინარეობასა და გადაწყვეტილებებზე. კერძოდ, გაიზარდა მხატვრული თარგმანის ხვედრითი წონა. ფედერაციამ გადაწყვიტა ეს სფერო ორგანიზაციულადაც გამოჰყოს ცალკე, ერთ-ერთი ძირითადი სექციის სახით. დაარსდა თარგმანის მსოფლიო ისტორიის კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა უნგრელი დიერდ რადო. საბჭოთა თარგმანის სკოლის ავტორიტეტი მეტად მაღალია და ფედერაციაც დიდად აფასებს მას.

ფინელი მასპინძლები კონგრესის განმავლობაში დიდი ყურადღებით გვექცეოდნენ. დაგვიმეგობრდნენ ოლავი ლინუსი, ლარს ჰამბერგი, ახალგაზრდა ფინელი ქალი მთარგმნელი ულა-ლიისა ჰეინო, რომელიც ამავე დროს საქდესის ხაზით მუშაობს, რუსული კარგად იცის და დიდ დახმარებას გვიწევდა ყოველგვარ წვრილმანში, ოლავი ლინუსს გადავეცი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისური თარგმანი, რომ ფინურ გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში აღნიშნოს რუსთაველის იუბილე.

კონგრესი საზეიმო ვითარებაში დაიხურა. გზაში ვმსჯელობდით იმ სარგებლობის შესახებ, რაც ასეთ საერთაშორისო კონტაქტებს მოაქვს. მთელი მსოფლიოს ხალხები დღეს განსაკუთრებით მიისწრაფიან იმისაკენ, რომ ერთმანეთი ახლოს გაიცნონ, სხვისი კულტურის მონაპოვარით თავიანთი კულტურის საგანძური შეავსონ. დღეს, ისე როგორც წინათ არასოდეს, თარგმანი იქცა ამ ურთიერთობის ძირითად საშუალებად და მისი პრაქტიკის შემდგომი განვითარების ამოცანა მოითხოვს საყოველთაოდ მისაღები თეორიის შექმნას. შემთხვევითი არ არის, რომ მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო ამ საქმეში პირველ ადგილზეა დღევანდელ მსოფლიოში და უცხოეთის ყურადღებას იქცევს თარგმანის საბჭოთა სკოლის თეორია და პრაქტიკა.

რადგან თარგმანი ამავე დროს დედა-ენის დაცვის საშუალებაა, ამიტომ არც ის არის შემთხვევითი, რომ თარგმანის საქმის განვითარებით მეტად დაინტერესებული არიან მცირერიცხოვანი ხალხები, რომელთაც არ უნდათ ისტორიის ორომტრიალში დაიკარგოს მათი დედა-ენა. ამიტომ ერთგვარად სიმბოლურ მოვლენად მიმაჩნია მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის მოწყობა პატარა ფინეთში.

პროფესორი **გივი გაჩეჩილაძე.**

* * *

სურათზე: მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის V კონგრესის მონაწილენი ლაჰტის სადგურში. მარცხნიდან — ე. ეტკინდი (ლენინგრადი), გ. გაჩეჩილაძე და უ. ჰეინო (ფინეთი).

სპორტი

„ტორპედო“ — „დინამო“

საკავშირო სპორტკავშირის გადაწყვეტილებით წელს „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა კოლექტივები მეორე წრის თითო ან ორ კალენდარულ მატჩს მართავენ იმ სამრეწველო ქალაქებში, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში თავიანთი წარმომადგენლები არ ჰყავთ.

გუშინ ულიანოვსკში შედგა ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა. თამაშობდნენ ქუთაისის „ტორპედოსა“ და მინსკის „დინამოს“ გუნდები. მატჩის შედეგია 4:1 მინსკელთა სასარგებლოდ.

◆

ფინიში ზაგრებში

გუშინ იუგოსლავიის ტრადიციულ ველორბოლას ფინიში ზაგრებში ჰქონდა. გუნდურ ჩათვლაში წარმატება მასპინძლებს ხვდათ. მეორე ადგილზე გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველომრბოლელთა კოლექტივი. უზბეკეთის გუნდი მესამე იყო. მათ გაუსწრეს ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, პოლონეთისა და საფრანგეთის ველომრბოლელებს.

პირად ჩათვლაში პირველ სამ ადგილზე გამოვიდნენ იუგოსლაველები — რადოს კუბრიჩი, ცვეტკო ბილიჩი და რუდოლფ ვალენჩიჩი. ტაშკენტელი იური პომინოვი მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

სტარტი რეკორდით

გუშინ კიევის ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო სსრ კავშირისა და საფრანგეთის მძლეოსანთა საერთაშორისო მატჩი.

შედეგები მაღალია. სტარტზევე დამყარებულ იქნა სსრ კავშირის ახალი რეკორდი — რ. კლიმმა უროს ტყორცნა 71 მეტრსა და 46 სანტიმეტრზე. ეს 44 სანტიმეტრით აღემატება წინანდელ რეკორდს; 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის ძლიერესი იყო კლოდ პიკემალი (საფრანგეთი, 10,1 წამი); 800 მეტრზე რბენაში წარმატება ვ. მიხაილოვს ხვდა (სსრ კავშირი, 1.48,9): დიდი ინტერესი გამოიწვია რბენამ 5.000 მეტრზე. აქ უძლიერესი იყო მსოფლიოში ცნობილი მორბენალი ფრანგი მიშელ ჟაზი — 14.15,2; ესტაფეტაში 4X100 მეტრზე წარმატება სტუმრებს ხვდათ.

პირველი დღის შედეგების მიხედვით წინ არიან საბჭოთა მძლეოსნები. ანგარიშია 57:49. დღეს გაიმართება დასკვნითი შეხვედრები.

საერთაშორისო კლასის ოსტატები

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ საერთაშორისო კლასის ოსტატის წოდება მიაკუთვნა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ფეხბურთელებს — ლ. იაშინს, ი. ჩისლენკოს (მოსკოვის „დინამო“), ა. კავაზაშვილს, ვ. ვორონინს (მოსკოვის „ტორპედო“), ვ. პონომარიოვს, ა. შესტერნიოვს (ცსკა), ს. მეტრეველს, მ. ხურცილავას, გ. ხუჯინავას (თბილისის „დინამო“) გ. ჰუსაინოვს ა. კორნეევს (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. დანილოვს (ლენინგრადის „ზენიტი“), ლ. ოსტროვსკის, ი. საბოს, ვ. სერებრიანიკოვს, ვ. ტურიანჩიკს (კიევის „დინამო“), ა. ბანიშევსკის (ბაქოს „ნეფტიანიკი“), ე. მალოფეევს (მინსკის „დინამო“).

რსფსრ-ის IV ზონაში

გუშინ გაიმართა რსფსრ-ის „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში.

ფოთში თამაშობდნენ ადგილობრივი „კოლხიდისა“ და კრიმსკის „უროჟაის“ გუნდები. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

ზუგდიდში მატჩი ჰქონდათ „ენგურისა“ და ნოვოროსიისკის „ცემენტს“. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს სტუმრებმა.

ამინდი

გუშინ საქართველოში მშრალი ამინდი იდგა. მაქსიმალური ტემპერატურა იყო თბილისში, გარდაბანსა და ლაგოდეხში — 29, ცხაკაიაში, გეგეჭკორში, საჩხერეში, გორში, მუხრანსა და თელავში — 27, გაგრაში, სოხუმში, ოჩამჩირეში, ზუგდიდში, ქუთაისში, ცხინვალსა და ბორჯომში — 26, ბათუმში, ფოთში, ანასეულსა და სიღნაღში — 25, მანგლისში, წალკაში, დუშეთში, თიანეთში, წითელწყაროში — 24, თეთრ წყაროში — 23, ახალქალაქში — 22, ბაკურიანში — 21 გრადუსი.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში წვიმა, ალაგ-ალაგ ელჭექი, სუსტი ქარი. ტემპერატურა ბარში — 23-27 გრადუსი, მთაში — 18-22 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ. მტკვრის ხეობაში იქროლებს დასავლეთის ზომიერი ძლიერამდე ქარი. ტემპერატურა ბარში — 22-26 გრადუსი, მთაში — 16-20 გრადუსი.

თბილისში უნდა მოველოდეთ ცვალებად მოღრუბლულ ამინდს უნალექოდ. დაუბერავს ჩრდილო-დასავლეთის სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა — 24-26 გრადუსი.

გ. მელითაური

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გიორგი გიორგის-ძე მელითაური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომელი.

გ. მელითაური დაიბადა 1921 წელს ქ. თელავში, სახალხო განათლების მუშაკის ოჯახში.

1936 წელს დაამთავრა ქ. თელავის პირველი საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე.

1940 წელს მუშაობა დაიწყო ახმეტის რაიონის სოფელ ომალოს სკოლის დირექტორად, შემდეგ კი სხვადასხვა დროს დირექტორად მუშაობდა ალვანისა და ყვარლის სკოლებში. 1945 წელს გ. მელითაური საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და აქვე დაიწყო მუშაობა. 1948-1965 წლებში მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

1965 წლის მაისიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანაშემწედ.

გ. მელითაური გამოირჩეოდა როგორც ენერგიული და ინიციატივიანი მუშაკი, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით. წლების განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებული იყო სსრ კავშირის მედლებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

გ. მელითაური მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა. მან თარგმნა და გამოსცა რამდენიმე წიგნი სამეცნიერო-პოპულარული და საბავშვო ლიტერატურიდან. იყო სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, აქტიურად თანამშრომლობდა საკავშირო და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

უაღრესად კეთილი, გულისხმიერი და ერთგული მეგობრის გიორგი მელითაურის ნათელი სახე მუდამ იცოცხლებს მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

18 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აბესალომ და ეთერი. (პრემიერა. დასაწყისი საღ. 7 ს. და 30 წ.), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სილვა (დასაწყისი საღ. 8 ს.). ფილარმონიის საზაფხულო — ლიტვის საესტრადო ორკესტრის კონცერტი (დასაწყისი საღ. 8 ს.), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ციხე-სიმაგრის საიდუმლო (№ 14 აბონ. დილის 11 ს. და 30 წ., № 57 აბონ. საღ. 6 ს.).

ტელევიზია

18 სექტემბერი

11.00 — მოსწავლეთათვის — „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.30 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „მაქსიმის სიჭაბუკე“. 16.55 — გადაცემათა პროგრამა. 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — კინონარკვევი. 17.50 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 18.35 — კინონარკვევი. 19.05 — „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა მხატვრობა“, 19.30 — კინონარკვევი, 19.55 — ტყის მუშაკის დღე. 20.20 — კინონარკვევი „მთის ტყეებში“ (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.40 — ნიკოლოზ ჩერკასოვი, 21.35 — მხატვრული ფილმი, 22.55 — გადაცემათა პროგრამა 19 სექტემბრისათვის, 23.00 — საკვირაო გასართობი პროგრამა (გადმოცემა სოჭიდან).

19 სექტემბერი

11.00 — იუგოსლავიური მხატვრული ფილმი „სამსახურებრივი მეგობრობა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა. 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „პირველი ხუთიანი“. 18.10 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი. 18.50 — განცხადებები. 19.00 — კინონარკვევი. 19.20 — გადაცემა — „რუმინელი მეგობრების ზვრებში“ (სტუდიაში — საქართველოს მებაღეობა-მევენახეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ნ. ხარტიშვილი), 19.45 — კინონარკვევი, 20.15 — გადაცემა — ჟურნალი „სოვეტსკოე დეკორატივნოე ისკუსსტვო“ ქართული ხელოვნების შესახებ, 20.30 — იუგოსლავიური მხატვრული ფილმი „სამსახურებრივი მეგობრობა“, 21.55 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.15 — გადაცემათა პროგრამა 20 სექტემბრისათვის, 22.20 — რა მოხდა ტაშკენტში (გადაცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყ. 12 საათიდან, საღამოს 17 საათსა და 25 წუთზე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი
თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოს — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-48, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-80, წერილების — 9-78-24 ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-88-26.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 01778 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.